


# ხობის მოამბე

№16 (7058) * 8 აგვისტო, ორშაბათი * 2011 წელი.
ფასი 0.50 თეთრი


## საკრებულო, როგორც არჩევითი ორგანო, საზოგადოების დაკვეთას უნდა ასრულებდეს და მისი ინტერესებით უნდა მოქმედებდეს

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მორიგი სხდომა სოფელ ხამისქურში ჩაატარა. გასვლით სხდომას საკრებულოს წევრები, აპარატის თანამშრომლები და სოფლის საზოგადოება ესწრებოდა. არამარტო საკრებულო, ნებისმიერი საჯარო დაწესებულება ვალდებულია თავისი საქმიანობა გამჭვირვალედ წარმართოს. ეს მხოლოდ დროის მოთხოვნა არ არის, არამედ ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი საფუძველია. საზოგადოების ჩართულობა და ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის გამჭვირვალობა ურთიერთდამოკიდებული პროცესია და ერთმანეთს განაპირობებს.



სხდომა წესისამებრ საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა ჭოხონელიძემ გახსნა. ბატონმა მამუკამ იქ დამსწრე საზოგადოებას ნათლად განუმარტა გასვლითი სხდომების აუცილებლობის შესახებ და მათი ვიზიტის შინაარსი გააცნო: „ჩვენი სურვილია სოფლის მოსახლეობას ჩვენი მუშაობა დავანახოთ. შესაბამისად მზად ვართ გავიზიაროთ მათი პრობლემები და შეძლებისდაგვარად გვერდში ამოვუდგეთ. ვფიქრობ, ამგვარი შეხვედრები ხელს შეუწყობს ჩვენს ორმხრივ თანამშრომლობას“. საკრებულოს თავმჯდომარემ ასევე ხაზი გაუსვა საკრებულოს საქმიანობის პროცესში საზოგადოების ჩართულობის ფაქტორს და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ჯერ კიდევ წინა მოწვევის საკრებულოს ფუნქციონირებისას გადაიდგა ნაბიჯები ამ დამოკიდებულების სტიმულირებისათვის. კონკრეტულად, ეწყობოდა გასვლითი შეხვედრები მუნიციპალიტეტის დასახლებებში, ორ სოფელში უკვე ჩატარდა გამსვლელი სხდომა და „ღია კარის დღე“, კვლავ იგეგმება მსგავსი შეხვედრები ეტაპობრივად, ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. საკრებულოს გასვლითი სხდომების მიზანია, საზოგადოებამ უშუალო მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს სხდომის მუშაობის პროცესში, რაც საკრებულოს სხდომათა დარბაზში ნაკლებად მოსახერხებელია. გარდა ამისა, ადგილზე შესაძლებელია გასვლის რეჟიმში ისეთი სახის პრობლემები იქნას გადაწყვეტილი, ან გადაჭრის გზები იქნეს დასახული, როგორც საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის უშუალო კონტაქტის გარეშე ვერ იქნეს მიღწეული.

საზოგადოების ჩართულობა თვითმმართველობის განხორციელების პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვინაიდან საკრებულო, როგორც არჩევითი ორგანო, საზოგადოების დაკვეთას უნდა ასრულებდეს და მისი ინტერესებით უნდა მოქმედებდეს.

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად შეტანილი იყო ათი საკითხი. მისაღებ გადაწყვეტილებათა პროექტები განსახილველად იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ მერაბ სილოგავამ და ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გოგი ქაჯაიამ წარმოადგინეს.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა დ. ჭოჭუამ 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში წარმოადგინა. ანგარიშის განხილვას საკრებულოს თავმჯდომარის მხრიდან რიგი შეკითხვები მოჰყვა. იყო დებატები. წარმოდგენილი რამოდენიმე საკითხი ბატონი დავითის მხრიდან განმარტებას მოითხოვდა.

2011 წლის 6 თვის ანგარიშით და მომავალი სასწავლო წლისათვის გასატარებელ აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ, ინფორმაციით საკრებულოს წინაშე ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორი მანანა წულეისკირი წარსდგა. მან იქ მყოფთ ექვსი თვის განმავლობაში გატარებული ღონისძიებები და სამომავლო გეგმა წარმოუდგინა. კერძოდ, ისაუბრა იმ აუცილებელი ფაქტორების დანერგვაზე, რომელიც ხელს შეუწყობს მომავალი თაობების უკეთ განვითარებას.

სხდომის დასასრულს საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა მამუკა ჭოხონელიძემ გაგვაცნო ინიციატივა „ხობქალაქობის“ დაწესების შესახებ. საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით: „ამ ინიციატივის განხორციელებით ხელი შეეწყობა ხობის მუნიციპალიტეტში შემონახული ფოლკლორული ნიმუშების, ხელოვნების სხვადასხვა ჟანრში მომუშავე შემოქმედთა ნამუშევრების, მეგრული ზეპირსიტყვიერების საზოგადოების მეტი ნაწილისათვის გაცნობას. ამგვარ დღესასწაულზე წარმოდგენილი უძველესი თამაშობები უსათუოდ დააინტერესებთ ტურისტებს, რაც წინაპირობაა იმისა, რომ ხობმა თავისი ადგილი დაიმკვიდროს საქართველოს ტურისტულ რუკაზე.“

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განიხილვის და გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ, საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

**ნინო გერგაია**

## შეხვედრა საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატთან

2011 წლის 2 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბატონმა გოდერძი ბუკიამ გამართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, გამგეობის სამსახურების წარმომადგენლები, საკრებულოს ბიუროს წევრები, ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულები, აიპ-ისა და მედიის წარმომადგენლები.


ვრცლად ამ შეხვედრის შესახებ იხილეთ ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში.




## ხობელები ქალაქის დღეს იზეიმებენ



30 წლის წინ ხობს ქალაქის სტატუსი მიენიჭა. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა ჭოხონელიძემ 2011 წლის 27 ივლისის საკრებულოს სხდომაზე წამოაყენა ინიციატივა, დაწესდეს ქალაქის დღე და ყოველ ზაფხულს აღინიშნოს ***ხობქალაქობა***.

ამ ინიციატივის განხორციელებით მუნიციპალიტეტისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თარიღის აღნიშვნასა და ლამაზ ზეიმს ჩაეყრება საფუძველი, რითაც ხელი შეეწყობა ხობის მუნიციპალიტეტში შემონახული ფოლკლორული ნიმუშების, ხელოვნების სხვადსხვა ჟანრში მომუშავე შემოქმედთა ნამუშევრების, მეგრული ზეპირსიტყვიერების საზოგადოების მეტი ნაწილისათვის გაცნობას. ამასთან, ამგვარ დღესასწაულებზე წარმოდგენილი უძველესი თამაშობები უსათუოდ დააინტერესებთ ტურისტებს, რაც წინაპირობაა იმისა, რომ ხობმა თავისი ადგილი დაიმკვიდროს საქართველოს ტურისტულ თუ კულტურულ რუკაზე.

რაც შეეხება ქალაქის დღის აღნიშვნის თარიღს, საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით, „უპრიანია, ის ყოველწლიურად, აგვისტოს ბოლო შაბათ-კვირას აღინიშნოს, რადგანაც ამ დროისათვის მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა უმეტესობა დაბრუნებულია შვებულებიდან თუ დასასვენებლიდან. ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი თავის ოჯახშია და ემზადება ახალი სასწავლო წლისათვის.

ქალაქის დღის ზეიმით გავაცილოთ ცხელი ზაფხული და ახალი შემართებით, განახლებული ენერგიით, დადებითი ემოციებით სასიკეთოდ დამუხტულები შევუდგეთ ვილვაწოთ უკეთესი მომავლისათვის“.

საკრებულოს წევრები მიესალმნენ საკრებულოს თავმჯდომარის ამ ინიციატივას და ერთხმად დაუჭირეს მხარი ქალაქის დღის დაწესებას.



## 12 აგვისტოს ხობში ტრადიციული სასულიერო-საერო დღესასწაული „ცოტნეობა“ აღინიშნება

9.00 საათი
- წირვა აღევლინება ხობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში.

15 . 00 საათი
- მხატვრული კომპოზიცია-,,ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება" ჩატარდება ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში.

16.00 საათი
- ვაჟა ეგრისელის საიუბილეო საღამო ჩატარდება ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში .

# საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს რამდენიმე მოქალაქეს ახალი, ელექტრონული პირადობის მოწმობა გადასცა



დღეს ვმოქმედებთ ლოზუნგით - საქმე ლაპარაკის ნაცვლად.

ამდენი ლაპარაკის შემდეგ, ელექტრონული პირადობის მოწმობების გამოყენება უნდა დავიწყოთ.

პატივი მაქვს, პირველი პირადობის მოწმობები რამდენიმე ჩვენს თანამოქალაქეს გადავცე.

მანამდე კი, მსურს, ორიოდ სიტყვა ვთქვა ამ ღონისძიების მნიშვნელობაზე და, საერთოდ, უფრო ღრმად ჩაწვდეთ იმას, რაც დღეს ხდება.

უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ ქვეყნების უმეტესობაში, ალბათ, პირველ პირადობის მოწმობას ქვეყნის პირველ პირს გადასცემდნენ - იქნებოდა ეს მონარქი, პრეზიდენტი თუ პრემიერ-მინისტრი.

ჩვენ კი, პირველ პირადობის მოწმობებს, გადავცემთ არა მთავრობის რომელიმე წევრს, ან პრეზიდენტს, არამედ ჩვენს მოქალაქეებს. ეს ჩვენი ფილოსოფიის განსაკუთრებული ნაწილია.

ეს არის ნაწილი იმისა, რომ ჩვენ ყველაფერი გვინდა არა მთავრობისთვის, არამედ ხალხისთვის.

მთავრობა არის ხალხისთვის და არა ხალხი - მთავრობისთვის.

ეს დღეს სიმბოლურად კიდევ ერთხელ დამტკიცდება.

ჩემო მეგობრებო, ჩვენ ბევრ რამეს ძალიან მარტივად შევეჩვიეთ.

მე ბევრს დავდივარ სხვადასხვა ქვეყნებში - ბოლოს ოცდახუთი საათის განმავლობაში მომიწია ფრენა აქ ჩამოსასვლელად - ბევრ ქვეყანას ვნახულობ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენ ძალიან ადვილად შევეგუეთ იმას, რომ საქართველო ასეთი მოწესრიგებული და სუფთა ქვეყანაა, რომ აქ არ არის კორუფცია, რომ აქ ძალიან ცოტა კრიმინალია... აქ მოქალაქეებისთვის ცხოვრება გაადვილებულია და გვგონია, რომ ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ასე მსოფლიოში, პრაქტიკულად, არსად არ არის.

მინდა შეგახსენოთ, რომ მსოფლიოში ყველაზე მარტივი ბიუროკრატიული პროცედურები გვაქვს ჩვენ. ასევე, მსოფლიოში ყველაზე მარტივად ჩვენთან ხდება საწარმოების დარეგისტრირება.

მინდა შეგახსენოთ, რომ ჩვენი ქვეყანა ევროპაში ყველაზე უსაფრთხოა და ე.ი. ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო მსოფლიოში.

ასევე მინდა შეგახსენოთ, რომ აქ მთავრობასა და ხალხს შორის ურთიერთობა ერთ-ერთი ყველაზე მარტივია, ვიდრე სადმე სხვაგან მსოფლიოში. ყოველივე ეს საქართველოს დღევანდელმა თაობამ გააკეთა - ეს შევძელით მხოლოდ ჩვენ და ვერავინ სხვამ მსოფლიოში.

ეს იმ პირობებში მოვახერხეთ, როდესაც ჩვენი ტერიტორიის მნიშვნელოვანი, მდიდარი და განსაკუთრებული ნაწილი ოკუპირებულია; როდესაც ჩვენი მოსახლეობის ათი პროცენტი დევნილია; როდესაც მრავალი წლის განმავლობაში საქართველოში იყო ნგრევა, გაუტანლობა, უშუქობა, განათლების სფეროს წარმოუდგენელი ჩავარდნა...

ყოველივე ამის ფონზე, საქართველომ თითქმის შეუძლებელი შეძლო.

ეს ძალიან დასაფასებელია და უნდა გვესმოდეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი რამ გავაკეთეთ და რამდენი მნიშვნელოვანი რამ შევქმენით.

ყველაფერი პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან. პირდაპირი კავშირია ქურდულ მენტალიტეტს, „ჯიგრულ ცხოვრებას", განსაკურებულ „გაგებასა" და ქუჩაში დაყრილ ნაგავს შორის; პირდაპირი კავშირია ეროვნული დამოუკიდებლობის დღის ჩაშლის მცდელობასა და იმ კრიმინალს შორის, რომლის პირობებშიც ბავშვებს ქუჩაში ვერ გავუშვებთ.

თუ სახელმწიფო არ გინდა და მთავარ ღირებულებებს - დემოკრატიის პირობებში წესრიგს და, მათ შორის, მოწესრიგებულებას უარყოფ, ამას მოჰყვება ის, რაც აქვს მსოფლიოს ქვეყნების 90 პროცენტს - ნაგავი ქუჩებში, საღამოს სახლიდან გასვლის საშიშროება, კორუმპირებული მებაჟეები, კორუმპირებული პოლიციელები, კორუმპირებული საპასპორტოები, გამნელებული ცხოვრება და კარიერის გაკეთება მხოლოდ ნაცნობობით, მეგობრობით, ნათესაობით და ქრთამით. ამ შემთხვევაში, დავემსგავსებით იმ ქვეყნებს, სადაც ნიჭი და შრომისმოყვარეობა არაფერს არ ნიშნავს.

ყოველივე ეს ჩვენ უკან მოვიტოვეთ და ყველამ ერთად, განსაკუთრებით კი, ამ ღობის იქით მყოფმა ბავშვებმა უნდა უზრუნველყონ ის, რომ ჩვენ ქვეყანაში მსგავსი ვითარება არასდროს აღარ დაბრუნდეს; ჩვენ ქუჩებში არასდროს აღარ დაბრუნდეს კრიმინალი და არასდროს აღარ იყოს ნაგავი; აღარ დაბრუნდეს უშუქობა და კორუფცია; სახელისუფლებო დერეფნებში, ამ კაბინეტებში აღარ დაბრუნდნენ „ჯიგრული გაგების" სუბიექტები ქვეყნის მხოლოდ ერთი ქუჩიდან და უბნიდან.

# რუსუდან კერვალიშვილი — არ მეგულება პარლამენტში ისეთი ადამიანი, რომელიც ქართული ეკლესიისათვის საზიანო ნაბიჯს გადადგამს

არავის ჰქონია ფარული ზრახვები, ამ ვითარებას ყველაზე მეტად დეპუტატები განიცდიან, რადგან შიშობენ, საქართველოს პატრიარქს არ ქონდეს განცდა, რომ პარლამენტი საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ მიდის ,_ამის შესახებ გაზეთ „კვირის პალიტრას" პარლამენტის ვიცე- სპიკერმა რუსუდან კერვალიშვილმა განუცხადა.

დეპუტატის განცხადებით, რელიგიების სტატუსის შესახებ კანონპროექტი ეჭვს არ იწვევს, რადგანაც საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიასთან სახელმწიფოს ურთიერთობა დამყარებულია საკონსტუტუციო შეთანხმებით, რომელიც გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე - სამოქალაქო კოდექსი.

„სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებები არ შეიძლება შეედაროს საკონსტიტუციო შეთანხმებას, რომელიც საქართველოს მართმადიდებლურ ეკლესიასთან არსებობს. გარწმუნებთ ყველა საკითხი გაირკვევა და მაქსიმალური კომუნიკაცია იქნება იმისთვის, ეს გაუგებრობა ამოიწუროს", - აცხადებს კერვალიშვილი.

ამასთან, რუსუდან კერვალიშვი-



ლი იმ 70 დეპუტატს შორის არის, რომლებმაც რელიგიური კონფესიების შესახებ კანონს მხარი დაუჭირეს.

**„ინტერპრესნიუსი"**

# საარჩევნო სუბიექტის შემოწირულობათა ზღვარი სავარაუდოდ გაორმაგდება

"საარჩევნო კოდექსის" მოქმედი რედაქციის მიხედვით, პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო ბლოკის და პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო კამპანიის ფონდებში მიღებული ფინანსური და მატერიალური შემოწირულებების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს თითოეული ფიზიკური პირისგან, მათ შორის ინდივიდუალური მეწარმისაგან - 30 000 ლარს, ხოლო თითოეული იურიდიული პირისგან - 100 000 ლარს. ამასთან, პარლამენტის მაჟორიტარი წევრობის კანდიდატისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრობის კანდიდატის საარჩევნო კამპანიის ფონდებში მიღებული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს თითოეული ფიზიკური პირისგან 10 000 ლარს, ხოლო თითოეული იურიდიული პირისაგან 30 000 ლარს.

რაც შეეხება კანონში დაგეგმილ ცვლილებას, საარჩევნო კოდექსზე მომუშავე სარედაქციო ჯგუფი თანხმდება, რომ არსებული ზღვარი გაორმაგდება. კერძოდ, პარტიის, საარჩევნო ბლოკის და პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო კამპანიის ფონდებში მიღებული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობების მოცულობა ფიზიკური პირისგან 60 000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს, თითოეული იურიდიული პირისაგან კი - 200 000 ლარს, ხოლო პარლამენტის მაჟორიტარი წევრობის კანდიდატისა და საკრებულოს წევრობის კანდიდატის საარჩევნო კამპანიის ფონდებში მიღებული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობების მოცულობა - თითოეული ფიზიკური პირისაგან - 20 000 ლარს,




ხოლო თითოეული იურიდიული პირისაგან - 60 000 ლარს

„საარჩევნო კოდექსში" შესატანი ცვლილებები, რომელთა შორის დაფინანსების ზღვრის გაზრდაცაა, პარლამენტში სავარაუდოდ, 20 სექტემბრისთვის იქნება ინიცირებული.

**„პირველი"**

# საქართველოს პრეზიდენტი ნორვეგიაში ტერაქტის დროს გადარჩენილ გოგონას შეხვდა

მიხეილ სააკაშვილი ნორვეგიაში ტერაქტისას გადარჩენილ ქართველ გოგონას ნათია ჩხეტიანს შეხვდა. საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ მიუსამძიმრა გარდაცვლილი თამთა ლიპარტელიანის ოჯახს. მიხეილ სააკაშვილმა ნათია ჩხეტიანი გაამხნევა და ის წლები გაიხსენა, როდესაც ნორვეგიაში მუშაობდა. მისი თქმით, ტერორისტის მიერ ჩადენილი დანაშაული იმდენად მძიმეა, რომ მისი შესაბამისი სასჯელი არც კი არსებობს.

„ახლა შევხვდი ნათია ჩხეტიანს, რომელიც ძალიან ღირსეული და კარგი ახალგაზრდაა. მან, მართლაც, ჯოჯოხეთი გამოიარა და გაკვირვებულიც დავრჩი იმით, თუ რამდენად შეინარჩუნა წონასწორობა და სიმშვიდე. რა თქმა უნდა, ძალიან განიცდის მომხდარს, მაგრამ წარმოუდგენელი ბედნიერებაა ის, რომ გადარჩა.

ის, რაც თამთა ლიპარტელიანის ოჯახს და მთლიანად საქართველოს დაატყდა თავს, უზარმაზარი ტრაგედიაა. ჩვენ შევეჩვიეთ, რომ ტელევიზიით ვიგებთ სადღაც თუ რაღაც მოხდა, ვიღაც თუ ააფეთქეს და მოკლეს. ყოველივე ეს ბევრისთვის სტატისტიკად რჩება, ვიდრე ვინმეს პირადად არ შეეხება–კონკრეტულ ოჯახს, ახლობელს, მეგობარს ან თანამემამულეს. წარმოიდგინეთ, დედისერთა გოგო, რომელსაც მშობლებმა ასწავლეს, ცხოვრების გზა გაუხსნეს, თანაც საკმაოდ რთულ ვითარებაში (ეს არ არის შეძლებული ოჯახი–საშუალო დონის ქუთაისური ოჯახია), რომელიც ცხოვრების დიდ გზაზე უნდა გასულიყო, წავიდა მსოფლიოს, თითქოს, ყველაზე უსაფრთხო რეპუტაციის მქონე ქვეყანაში და ასეთი უბედურება დაატყდა თავს...

მხეცი საქართველოშიც მხეცია, სამხრეთ პოლუსზეც და ნორვეგიაშიც. ის არსება კი, რომელმაც ასეთი რამ ჩაიდინა, ნამდვილი ცხოველია - მას სხვა სიტყვას ვერ უწოდებ.

თავის დროს, ნორვეგიაში მეც ვარ ნამყოფი და იქ სწორედ იმ ასაკში ვმუშაობდი, რა ასაკშიც იქ თამთა და ნათია ჩავიდნენ. მათ შორის, ნანახი მაქვს ნორვეგიული ციხეები, რომლებიც სანატორიუმებს უფრო მოგვაგონებს. არც კი ვიცი, იმ „სანატორიუმში" რა სასჯელი უნდა მოიხადოს იმ ცხოველმა და როგორ არის ეს ადეკვატური დასჯა იმისთვის, რაც მან ჩაიდინა. მან უამრავი ოჯახი გააუბედურა, მათ შორის, ეს ქუთაისური ოჯახი და ამ მდგომარეობაში ჩააყენა თამთას ახლობლები და ნათესავები.

მინდა, ნათიას ვუსურვო, დროულად დაძლიოს გადატანილი უბედურება, თუმცა კი, ალბათ, ვერასდროს დაივიწყებს მომხდარს, ცხოვრებაში ძალიან წარმატებული ადამიანი გახდეს ჩვენი ქვეყნისთვის და, თუნდაც, მისი მეგობრის ხსოვნის პატივსაცემად",–განაცახადა საქართველოს პრეზიდენტმა.

**„ჯი-ეიჩ-ენი"**

# ვანო მერაბიშვილი: კრიმინალი შემცირდა და პოლიციელებს ნაკლები საქმე აქვთ



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის განცხადებით, ქვეყანაში კრიმინალი მნიშვნელოვნად შემცირდა.

როგორც მერაბიშვილმა დღეს, მოსკოვის გამზირზე პოლიციის ახალი შენობის გახსნისას აღნიშნა, კრიმინოგენული ვითარების შემცირების გამო სამართალდამცველებს „ნაკლები საქმე აქვთ" და ისინი უფრო მოსახლეობის მომსახურებაზე არიან გადასულნი.

„მიხარია, რომ საქართველოში ბოლო დროს კრიმინალი ძალიან შემცირდა, პოლიციელებს ნაკლები საქმე აქვთ და ისინი უფრო გადასულები არიან მოსახლეობის მომსახურებაზე, მათთვის კომფორტის შექმნაზე. ძალიან მიხარია, რომ საქართველო იქცა მსოფლიოს ერთ-ერთ ლიდერად დაბალი კრიმინალის თვალსაზრისით. სერიოზული წარმატება გვაქვს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. მიხარია, რომ საქართველოში თითქმის ყველა ტიპის დანაშაული მკვეთრადაა შემცირებული", - განაცხადა მერაბიშვილმა.

მისივე თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრო გააგრძელებს პოლიციის ახალი შენობების მშენებლობას.

**„ჯი-ეიჩ-ენი"**

## ხალხი და ხელისუფლება



„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა” მესამე წელია ხორციელდება, იგი სოფლის პირველი რიგის პრობლემების გადაჭრას ისახავს მიზნად. პროგრამის განხორციელება ხობის მუნიციპალიტეტში ყველა ტერიტორიულ ერთეულში სწორედ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებით დაიწყო. მოხდა შიდა გზების მოხრეშვა, საბავშვო ბაღების, სპორტული მოედნების მოწყობა, მოსაცდელების კეთილმოწყობა. ცალკეულ სოფლებში შემოკავდა მოსახლეობის საყანე ფართობები, ასევე მოხდა წყალსადენი სისტემის აღდგენა-რეაბილიტაცია.

ჩვენ დავინტერესდით თუ რა მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით სოფელ ქვემო ქვალონში. მოსახლეობას ქონდა სრული ინფორმაცია პროგრამის არსზე. არის თუ არა მოსახლეობა ამ სამუშაოებში დასაქმებული და რამდენად კმაყოფილები არიან ისინი... ამ თემაზე ვესაუბრეთ სოფლის რწმუნებულს ბატონ ელგუჯა ლაგვილავას. ეს ადამიანი წლებია სოფლის სათავეში დგას და მაქსიმალურად ცდილობს თავის სოფლის მკვიდრებს დახმარების ხელი გაუწვდინოს. სოფელში ის ყველას უყვარს. ამიტომაც არის ის ხალხის რჩეული, მათი ჭირისა თუ ლხინის გამზიარებელი.

## „ჩემი სოფელი, ჩემი დიდი ოჯახია“

***ცოტა რამ თქვენზე გვიამბეთ?***

–დავიბადე 1957 წლის 18 იანვარს, ქვემო ქვალონში. დავამთავრე ქ. სენაკის რკინიგზის №1 სკოლა–ინტერნატი. სწავლა გავაგრძელე ქ. სიმფეროპოლის საინჟინრო–სამშენებლო ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი საქართველოს აგრომრეწვის სარემონტო–სამშენებლო სამმართველოში ჯერ საქმის მწარმოებლად, შემდეგ დასავლეთ საქართველოს უბნის უფროსად, სადაც 1992 წლამდე ვიმუშავე. 1998 წლიდან დღემდე კი სოფელს ვთავკაცობ.

მაქსიმალურად ცვცდილობ ჩემი საქმე პირნათლად შევასრულო, სოფლის კეთილდღეობისათვის დაკისრებული უფლება-მოვალეობები ღირსეულად განვახორციელო.

***რა არის თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი, ღირებული?***

–ჩემი ქვეყნის, მუნიციპალიტეტის, სოფლის წინსვლა, აყვავება. ადამიანებთან ურთიერთობის სიჯანსაღე, ჩემი ოჯახისა და ორი შვილიშვილის კარგად ყოფნა, აი, რა არის ჩემთვის მნიშვნელოვანი და ღირებული.

***რა გიქმნით ბედნიერებას?***



–სრული ბედნიერება, ალბათ, არ არსებობს, მაგრამ ბედნიერი მაშინ ვიქნები, როცა ჩემი სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას არსებობისათვის ნორმალური პირობები ექნება. პირადად მე, სანამ შემეძლება, ყოველთვის გავაკეთებ მათთვის კეთილ საქმეს. ვისურვებდი, ყველა მათგანის თვალებში დავინახო სიხარული. ვიბრძოლებ, იმისათვის, რომ ამას მივაღწიო. ბედნიერებაც ხომ მიღწეულით ტკბობაა.

***სოფელმა შეჩვევა იცის, თქვენ შეგეჩვიათ სოფელი თუ თქვენ შეეჩვიეთ მას? რამდენი წელია სოფლის სათავეში დგახართ?***

–ალბათ ერთმანეთს შევეჩვიეთ. 13 წელია სოფლის სათავეში ვდგავარ. მუშაობა რომ დავიწყე, იმდენად დიდი იყო სურვილი ჩემი სოფლის აყვავებისა და მოსახლეობის კეთილდღეობისა, მეგონა შეუძლებელს შევძლებდი. მიუხედავად დიდი სურვილისა, საბიუჯეტო ორგანიზაცია ვიყავით და განკარგვა კანონის დარღვევით და გადამეტებით არ შეგვეძლო. ძირითადად, შეძლებისდაგვარად ერთჯერადი ფულადი დახმარებებით ვეხმარებოდით მრავალშვილიან ოჯახებს, ობლებსა და მარჩენალდაკარგულებს. უკიდურესად შეჭირვებულებსა და ავადმყოფებს, რათა ცოტათი მაინც შეგვემსუბუქებინა მათი პრობლემები.

***თქვენი აზრით, რატომ აგირჩიათ ხალხმა?***

–როგორც აღვნიშნე, საკრებულოში მუშაობის დაწყებამდე ვმუშაობდი დასავლეთ საქართველოს უბნის უფროსად სარემონტო სამმართველოში. იქ მუშაობის დროს სოფელში ჩემს მიერ გაკეთდა სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალი, რემონტი გაუკეთდა სოფლის კულტურის სახლს. მეურნეობის ადმინისტრაციულ შენობას, ფერმებს, გარემონტდა სოფლის შიდა გზები, სადაც ჩემი სოფლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მყავდა დასაქმებული. ჩემი სოფელი განსაცდელში არასოდეს მიმიტოვებია. ბევრისთვის გამიმართავს ხელი, დავხმარებივარ სახლის მშენებლობასა და საძირკვლის ჩაყრაში. გვჯეროდა ერთმანეთის, რომ სოფლის მხარში დგომით უფრო მეტს გავაკეთებდით. მათ ყოველთვის სჯეროდათ ჩემი და იცოდნენ ჩემი შესაძლებლობები. ალბათ ამ ყველაფერმა განაპირობა ხალხის რჩეული გამხდარვიყავი.

***რამდენი წელია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ ხორციელდება. ამ პროგრამით წელს რა სახის სამუშაოები სრულდება და ამის გარდა, რა სახის სამუშაოებია განხორციელებული?***

–უკვე მესამე წელია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ ხორციელდება, იგი ყოველწლიურად სოფლებში პრობლემების ეტაპობრივ მოგვარებასა და ასევე ახალი საჭირო ობიექტების შექმნას ითვალისწინებს. ამ ხნის განმავლობაში სოფელში უამრავი პრობლემა მოგვარდა. გაკეთდა წყალსადენის რეაბილიტაცია, მოიხრეშა გზები, შემოკავდა შუა ქვალონში ახალი სასაფლაო, კეთილმოეწყო შუა ქვალონის სოფლის ცენტრი. წელს განხორციელდა ათი პროექტი–სამ ქუჩაზე მოხდა წყალსადენის რეაბილიტაცია, შეკეთდა ორი ხიდი, ამოიწმინდა სანიაღვრე არხი, აშენდა ორი ავტომოსაცდელი, გაკეთდა სასაფლაოსთან მისასვლელი გზა.



გასულ წლებში სოფელში ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის უშუალო მხარდაჭერითა და დაფინანსებით აშენდა ქვალონის №1 საჯარო სკოლის ერთი კორპუსი, ორი ხელოვნურსაფარიანი მინისტადიონი და ასფალტი დაიგო რუსთაველის ქუჩის 1, 2 კმ-ზე.

გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ კულტურის სახლსა და საბავშვო ბაღს რემონტი ჩაუტარდა, მოხდა მაღალი ძაბვის ხაზების რეაბილიტაცია 1,4 კმ-ზე, დაბალი ელექტრო ხაზების გამოცვლა 1,5 კმ-ზე, ბარათაშვილის, ვაჟაფშაველას, მეგობრობის, ვეკუას და რუსთაველის ქუჩებზე წყალსადენის მილების რეაბილიტაცია მოხდა.

***როგორ ფიქრობთ, ამ პროიგრამამ გაამართლა?***

–„სოფლის მხარდაჭერის პროგრამამ“ ნამდვილად გაამართლა. პირველ წელს მოსახლეობა სკეპტიკურად უყურებდა ამ პროექტს, მაგრამ როდესაც ნახეს, განხორციელდა, მეორე წელს აქტიურად ჩაერთნენ ამ პროცესში.

***გაატარეთ თუ არა რამე ღონისძიება რათა სოფლის მოსახლეობას ჰქონოდა სრული ინფორმაცია, თუ რაში მდგომარეობს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ არსი, გაითვალისწინეთ თუ არა მოსახლეობის აზრი ამ პროგრამის განხორციელების დროს, როგორ განისაზღვრა სოფლისთვის პრიორიტეტები, რა სჭირდება სინამდვილეში სოფელს. რა თანხები იქნა გამოყოფილი ამ პროგრამისთვის და როგორ განაწილდა სამუშაოები?***

–რა თქმა უნდა გატარდა ღონისძიებები, რომ სოფლის მოსახლეობა ინფორმირებული ყოფილიყო, თვითონ მოსახლეობა ადგენს პრიორიტეტებს და იღებს მონაწილეობას ამ პროექტის განხორციელებაში. პირველ რიგში ითვალისწინებს გამოყოფილი თანხის რაოდენობას და ისე ახდენს სამუშაოების შერჩევას.

ხელისუფლებამ ბევრი რამ ხალხისთვის გააკეთა, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ მრავალია. ხალხს ხელისუფლების უნდა სჯეროდეს, იგი ელოდება მდგომარეობის გაუმჯობესებას. იმედია, რომ ყველაფერი დადებითად გადაწყდება.

***ამ სამუშაოებით ქვალონელები დასაქმებული თუ არიან კმაყოფილები?***

–ურთიერთშეთანხმება, უნდა იყოს. და არის კიდეც. მთავარია ერთმანეთის ტკივილი გვტკიოდეს, მოვეფეროთ და გვიყვარდეს ერთმანეთი.

***მშობლიური სოფლი და თქვენ...***

–მე მიყვარს ჩემი სოფელი. აქ დავიბადე, გავიზარდე, ეს სოფელი, ჩემი დიდი ოჯახია. ყველა მათგანი მიყვარს.

ახლა აგვისტოა და გვერდს ვერ ავუვლი ჩვენი სოფლის დიდ ტკივილს. 2008 წლის 8 აგვისტოს მოვლენამ დიდი დაღი დაასვა ჩვენს სოფელს. ამ ომში, გორში, ჩვენი სოფლის ერთ-ერთი თვალსაჩინო, შრომისმოყვარე ოჯახის შვილი, კაპრალი გოგიტა ქარჩავა გმირულად დაიღუპა. საოცრად გაწონასწორებული ახალგაზრდა იყო, თავმდაბალი, თავის ქვეყნისთვის თავდადებული. სოფელში ერთ-ერთი ქუჩა და მინი სტადიონი სწორედ გოგიტა ქარჩავას სახელს ატარებს.

მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით მოვეფერო და მოვესიყვარულო მისი ოჯახის თითოეულ წევრს, ქედი მოვიხარო მის საფლავთან და პატივი მივაგო მის ნათელ ხსოვნას.

მინდა გითხრათ ჩვენ ნამდვილად ვამაყობთ ჩვენი სოფლის მხცოვანი ადამიანებით, ახალგაზრდებით, თითოეული ქვალონელით, მინდა ყველა მათგანს მივულოცო მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაული, ღვთისმშობლის კალთა ფარავდეს მათ ოჯახებს და სრულიად საქართველოს.

**ესაუბრა ნანა კემულარია**

## „თეთრი პეპელას" წინააღმდეგ ბრძოლის პირველი ეტაპი დამთავრდა



***„ამერიკული თეთრი პეპელას“ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე გვესაუბრება სურსათის ეროვნული სააგენტოს სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს სპეციალისტი ხობის ზონაში გურიელ ჯორჯიკია:***

„ამერიკული თეთრი პეპალა“ საკარანტინო მავნებელია, რომელიც გავრცელებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, კერძოდ დასავლეთ საქართველოში.

დასავლეთ საქართველოს რაიონები ამერიკული თეთრი პეპელას გავრცელების მიხედვით დაყოფილია რისკის ზონებად (მაღალი, საშუალო და დაბალი) ხობის მუნიციპალიტეტი მაღალი რისკის ზონას მიეკუთვნება. მიმდინარე წელს ამ საკარანტინო მავნებლის გავრცელება შეიმჩნეოდა მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში, რომელიც დაუყოვნებლივ ქიმიური ღონისძიებების ჩატარებას საჭიროებდა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ 5 ივლისიდან 14 ივლისის ჩათვლით ბრძოლის ქიმიური ღონისძიება უსასყიდლოდ ჩატარებულიქნა „ამერიკული თეთრი პეპელას“ პირველი თაობის მატლების წინააღმდეგ ბრძოლა. ჩატარდა 14 სოფელში და შეიწამლა 1120 ჰა ფართობი, კერძოდ ქვემო ქვალონში–140 ჰა, ბიაში–40 ჰა ახალ ხიბულაში–120, საჯიჯაოში–200. ძველ ხიბულაში) 40, ქარიატაში–40, ყულევში–40, შუა ხორგაში–40, საგვიჩიოში–60, ახალ სოფელში–80, პირველ ხორგაში–40, გურიფულში–40 ჰა, პატარა ფოთში–120,



ჭალადიდში–120 ჰექტარი. აღნიშნული მავნებლის წინააღმდეგ წამლობა ჩატარდა მეტეოროლოგიური პირობებისა და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით, წამლების ეფექტურობამ შეადგინა 80–85 %.

აგვისტოს ბოლოს „ამერიკული თეთრი პეპელას“ მეორე თაობის მატლების გავრცელებაა მოსალოდნელი. სურსათის ეროვნული სააგენტო მზად არის მისი გავრცელების მიხედვით ქიმიური ღონისძიებების ჩასატარებლად.

**ნანა კემულარია**

# 12 აგვისტო — „ცოტნეობა“



„კაცი კეთილი და სრული საღმრთოთა და საკაცობოთა. პატივოსანი და სათნოებიანი, ბრძოლათა შინა სახელოვანი“,–ასე დაახასიათა ჟამთააღმწერელმა ცოტნე, როგორც ქართული პოლიტიკური აზრისთვის საქართველოს პროგრესული ძალების კონსოლიდაციის, ეროვნული თავისუფლებისა და ეროვნულ ძალთა შეკავშირების სიმბოლო, 1999 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა ცოტნე დადიანი წმინდანად შერაცხა.

## საქართველოს დიდგვაროვანი ფეოდალი



**ცოტნე დადიანი** – ქვეყნისთვის თავდადებული მამულიშვილი, რომელმაც შთამომავლობას გმირობისა და ერთგულების მაგალითი მისცა, მოღვაწეობდა XIII საუკუნეში, მაშინ, როდესაც საქართველო უმძიმესი განსაცდელის წინაშე იდგა და როცა ქვეყანას ყველაზე მეტად სჭირდებოდა სიყვარულით გულანთებული მამულიშვილები.

1235 წელს საქართველო მონღოლებმა დაიპყრეს. რუსუდანმა მათთან დაზავება გადაწყვიტა, მიითუმეტეს, რომ დახმარების იმედი არსაიდან ჩანდა. ასეთ მძიმე ვითარებაში საქართველოს ელჩობა არსენ მწიგნობართუხუცეს–ჭყონდიდელის მეთაურობით ბათო–ყაენთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა. 1243 წელს დაიდო ზავი, საქართველო „ოქროს ურდოს“ მფლობელობაში მოექცა. ზავის თანახმად, სამეფო ხელისუფლება ქვეყანაში ხელუხლებლად რჩებოდა, მეფობის პრეტენდენტს ყაენი ამტკიცებდა. ქართველებს უნდა გადაეხადათ ხარკი – 50 ათასი პერპერა, საჭიროების შემთხვევაში კი მონღოლთა მხარეზე საბრძოლველად სამხედრო ძალა უნდა გამოეყვანათ. ზავის დადების შემდეგ რუსუდანმა თავისი ძე დავითი, რომელიც მანამდე თანამოსაყდრედ დასვა, ყაენთან გააგზავნა მეფედ დასამტკიცებლად. 1245 წელს რუსუდანი გარდაიცვალა და დაიწყო უმეფობის ხანა. ტახტის მემკვიდრე დავითი ჯერ კიდევ არ იყო ურდოდან დაბრუნებული. მონღოლებმა ისარგებლეს შექმნილი ვითარებით და საქართველო, მონღოლური წესის მიხედვით, დუმნებად დაყვეს. დუმნისთავობა დამპყრობლებმა ცნობილ ქართველ დიდებულებს: ეგარსლან ბაკურციხელს, შანშე მხარგრძელს, ყვარყვარე ჯაყელს, გრიგოლ სურამელს, ცოტნე დადიანს და სხვებს უბოძეს. მონღოლთა ბატონობა საქართველოში სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა, მათ საქართველოს მთავრებს უმძიმესი ხარკი დაუწესეს და თან ბრძოლებში მონაწილეობაც დაავალეს. ქართველები არ აპირებდნენ ასე ადვილად შეგუებოდნენ თავისუფლების დაკარგვას და გადაწყვიტეს გაერთიანებული ძალებით შებრძოლებოდნენ მტერს.შეთქმულები ჯავახეთში, კოხტასთავზე შეიკრიბნენ: „დაამტკიცეს ომი, და დადვეს პაემანი შეკრებისა”. შეკრების ადგილად რკინის ჯვარი, სამცხესა და ღადოს შორის არსებული ტერიტორია დასახელდა. თათბირი დასრულდა თუ არა, პირველებმა კოხტასთავი დატოვეს ცოტნე დადიანმა და კახაბერ კახაბერის ძემ, რომელთაც ყველაზე დიდი გზა ჰქონდათ გასავლელი. ისინი იმერეთ–აფხაზეთსა და რაჭა–თაკვერში უნდა გადასულიყვნენ და ლაშქრის შეგროვების შემდეგ, დანიშნულ დროზე რკინის ჯვარზე გამოცხადებულიყვნენ. როგორც ჩანს, ვიღაცამ გასცა შეთქმულები –მოულოდნელად მონღოლთა ჯარები, ბიჩოისა და ანგურგის სარდლობით, თავს დაესხნენ ქართველ დიდებულებს, შეიპყრეს და ანისის ქვეყანაში, იმ ადგილას წაიყვანეს, რომელსაც „შირავაკანი“ ერქვა. მონღოლთა მთავარმა ნოინმა, ჩარმაღანმა, რომელიც ნდობით ეპყრობოდა ქართველებს, იუცხოვა მათი ღალატი და გაკვირვებული შეუდგა დაკითხვას. შეკრების მიზეზად ქართველები მონღოლთათვის ხარკის აკრეფას ასახელებდნენ და აცხადებდნენ, რომ აჯანყების განზრახვა არ ჰქონიათ. მონღოლებმა მათ არ დაუჯერეს: მთავრები გააშიშვლეს, ხელ-ფეხი შეუკრეს, ტანზე თაფლი წაუსვეს და მშიერ-მწყურვალნი, პაპანაქება სიცხეში დატოვეს, თან ყოველდღე შეკრების მიზეზს ეკითხებოდნენ.ამასობაში ციხის–ჯვარში შეხვედრის დროც დადგა. ცოტნე დადიანი თავისი ლაშქრით გამოცხადდა და როდესაც შეიტყო თავზარდამცემი ამბავი, „მწუხარე იქმნა უზომოდ, და თვისად სიკუდილად და სირცხვილად შეჰრაცხა საქმე იგი, და წარავლინა ლაშქარი თვისი, და ორითა კაცითა წარვიდა ანისად, დამდები სულისა თ?სისა და აღმსარებელი მცნებისა უფლისასა“. ანისში ცოტნემ იხილა რა სასიკვდილოდ განწირული თანამოძმეები, ცხენიდან ჩამოხტა, სამოსელი გაიხადა და გვერდით მიუჯდა მათ.

მონღოლებს არ დასჭირვებიათ ეკითხათ, ვინ იყო ამ უცნაური საქციელის ჩამდენი, ჟამთააღმწერლის ცნობით, მას, „კაცსა კეთილსა და სრულს“ ყველა ძალიან კარგად იცნობდა. ცოტნეს მოსვლის მიზეზი ჰკითხეს. „ჩვენ ყოველნი ამად შევიკრიბენით, რათა განვაგდოთ ხარაჯა თქუენი და ბრძანება? თქუენი აღვასრულოთ - ეს იყო შეკრება ჩუენი. აწ თქუენ ძ?რის-მოქმედთა თანა შეგვრაცხენით, და მე ამის ძლით მოვედ წინაშე თქუენსა, რათა გამოიკითხოთ, და უკეთუ ღირსი რამე სიკუდილისა უქმნიეს, მეცა მათ თანა მოვკუდე, რამეთუ თ?ნიერ ჩემსა არარა უქმნიეს; უკეთუ ცხოვნდენ, მათ თანა ვიყო“,–უპასუხა ცოტნემ. ამ პასუხით ყველა სახტად დარჩა. ცოტნე დადიანის თავდადებამ იმდენად იმოქმედა მონღოლებზე, განსაკუთრებით ჩაღატა ნოინზე, რომ მათ ქართველების გათავისუფლება გადაწყვიტეს.

1259 წლის მონღოლების წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში ცოტნე დადიანის სახელი აღარ ჩანს. ვარაუდობენ, რომ ამ დროისათვის იგი უკვე გარდაცვლილი იყო. საქართველოში ყველამ იცის ცოტნე დადიანის ამბავი, მისი გმირობა რწმენის, სიყვარულისა და თავდადების მაგალითია.

## შოთა ნიშნიანიძე
## ცოტნე დადიანი

მეგრულ სიმღერებიდან და მეგრული
მოთქმიდან
ისმის ცხენის თქარუნი და ჭიხვინიც
მოდიდდა.
იქნებ ელვა ავარდა ძველლაზური აფრიდან
ანდა წმინდა გიორგი მარტვილიდან აფრინდა?
მთვარის ყაბალახიანი,
ღამის ნაბდიანი
მიდის, მიიჩქარის ცოტნე დადიანი.
რახანია ეკლესიებს შესევია ჭილყვავი,
და ციხეებს აზიური სიმღერები ჭირხლავენ,
ცას უყეფენ კოცონები და კარვები
მონგოლთა...
ვერ იქნება კოხტაგორა საქართველოს
გოლგოთა!
– მაშ გაფრინდი, ბედაურო, გრძელფეხება,
კანჭწვრილო,
ოჩოკოჩის გახედნილო და ჭინკების
გაწვრთნილო,
არც ქერი გაქვს, არც არაყი, არც მოთმენა,
არც ძილი, –
ახრამუნე ჰორიზონტი... გადახუხე მანძილი...
ჩქარობს,
ჩქარობს,
ჩქარობს,
ავსებული ურვით,
ცოტნე დადიანის რაინდული გული...

* * *

ისევ ისმის თქარუნი
და ჭიხვინი რაშის,
ვხედავ სამეგრელოდან ამხედრებულ
აჩრდილს,
მოჭენაობს,
მოგელავს
თოხარიკით...
ჩორთით...
ფაფარივით აწეწილა საუკუნის შფოთი...
ამ ყიჟინით, ამ სულით, ამ მარადი ლტოლვით
ისევ ფხიზლობს უძველესი მეომარი ტომი.
ისევ ფეთქავს, ისევ სცემს, ლეგენდებად
თქმული,
პატარა საქართველოს რაინდული გული...

იაკობ გოგებაშვილი

## მონგოლნი საქართველოში

**თამარ მეფის** სიკვდილის შემდეგ არ გასულიყო ჯერ თორმეტი წელიწადი, რომ ჩვენს ქვეყანას შემოესია მრავალრიცხოვანი და უმძლავრესი მტერი–მონგოლები. ამ ველურმა ხალხმა მოინდომეს საქართველოს დაპყრობა. მათ მოსთხოვეს ქართველებს, ნებაყოფლობით დაგვიმორჩილდითო, მაგრამ ცივი უარი მიიღეს. მაშინ მათი ლაშქარი შემოესია ჩვენს ქვეყანას და დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა ქართველთა და მონგოლთა შორის. ქართველებმა დიდი ვაჟკაცობა უჩვენეს მტერს, სამშობლოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას თავგანწირულნი იცავდნენ, მედგრად ებრძოდნენ მონგოლებს, ჟლეტდნენ მათ. მაგრამ მტრის სიმრავლის გამო ბოლოს მაინც ძლეულნი იყვნენ. გამარჯვებულმა მონგოლებმა იწყეს მბრძანებლობა საქართველოში და სწრაფად შესცვალეს მისი მდგომარეობა. ქვეყანა სწრაფად გაალარიბეს, თავისუფალს ერს ყმობის უღელი დაადგეს.

მტერს მაინც ეშინოდა ქართველების შეერთებული ძალისა და ყოველ ღონეს ხმარობდა ჩაეშალა ქართველთა შორის ერთობა და ამით ჩვენი ქვეყანა სამუდამოდ დაეუძლურებინა და დაემონავებინა. ასეც მოიქცნენ, თავისი წადილი სისრულეში მოიყვანეს. ცდილობდნენ ვერაგობით მტრობა ჩამოეგდოთ და იმერნი და ამერნი ქართველნი ერთმანეთთან შეეჯახებინათ. როცა ასე გააცალკევეს ღვიძლი ძმები და დააუძლურეს, მაშინ მოინდომეს მეფე ჩამოეგდოთ, თვითონ ყოფილიყვნენ პირდაპირი მბრძანებელნი ქართველებისა.

### კრება მამულიშვილთა

ქართველნი მამულიშვილნი ძლიერ სწუხდნენ, როცა ხედავდნენ ქვეყნის განცალკევებას, უმეფობას, სისუსტეს ერისას და სულ იმის ფიქრში იყვნენ, რა ეღონათ. ბოლოს საქართველოს ყველა კუთხის საუკეთესო მამულიშვილებმა მოიხმეს ერთმანეთი და მოახდინეს კრება შუაგულს ადგილას, ახალციხის მახლობლად. ისინი ქვეყნის შველაზე ფიქრობდნენ და მსჯელობდნენ. ბოლოს, ერთხმად დაადგნენ იმ აზრს, იმ გადაწყვეტილებას, რომ წასულიყვნენ ყველანი თავთავიანთ ქვეყანაში, აეჯანყებინათ მცხოვრებნი, მოეკრიფათ საჩქაროდ ჯარები და მოესხათ ისინი ახალციხის ახლოს. აქედან შეერთებელი ძალით უნდა გაელაშქრათ მონგოლების წინააღმდეგ, გაერეკათ ისინი საქართველოდან.

### დატყვევება ქართველებისა

ამ გადაწყვეტილების შემდეგ ცოტნე დადიანი გაეშურა შორეულს აფხაზეთში, რათა დროზე შეეკრიბა ჯარი და ვადაზე მიესწრო დანიშნულ ადგილას. სხვანი ჯერ ერთად იყვნენ და აჯანყების წესსა და რიგს აწყობდნენ. მაგრამ მონგოლებმა ეს ამბავი შეიტყვეს, უთუოდ სულმდაბალი ჯაშუშების შემწეობით. მათ სწრაფად აფრინეს ცხენოსანი ჯარი ახალციხისაკენ. ეს ჯარი მოულოდნელად თავს დაესხა ქართველ მთავრებს სწორედ იმ დროს, როდესაც ისინი აქედან წასვლას აპირებდნენ თავიანთ ქვეყნებში მცხოვრებლების ასაჯანყებლად. ქართველებს თან ჯარი არა ჰყავდათ, წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და დატყვევებულ იქმნენ ყველანი ერთად.

### თავდადება ცოტნესი

ამასობაში დადგა ის დრო, როდესაც პირობისამებრ უნდა შეყრილიყვნენ საქართველოს მთავარნი თავიანთი ჯარებით ახალციხის ახლოს; აქ დანიშნულ ვადაზე ცოტნე დადიანი გამოცხადდა თავისი ჯარით, მაგრამ ნაცვლად თავმოყრილი ქართველი ლაშქრისა, მას დახვდა საზარელი ამბავი. მან იმწამსვე მიიღო იმისთანა მაღალი და საკვირველი გარდაწყვეტილება, რომელიც შეეფერება სამაგალითო მამულიშვილს და ყოვლად ღირსეულ ვაჟკაცს. თავისი ლაშქარი მთლად უკანვე აფხაზეთში დააბრუნა, თვითონ კი გასწია ანისისაკენ ორი მოსამსახურით იმ განზრახვით, რომ მისულიყო დატყვევებულ ქართველებთან და ჭირსა და ტანჯვაში მათთან ყოფილიყო.

ცოტნემ გაიარა მესხეთი ანუ ახლანდელი ახალციხის მხარე, შემდეგ ჯავახეთი, ჩავიდა სომხეთს და შევიდა სომეხთა დედაქალაქ ანისში. საშინელმა წუხილმა შეიპყრო გმირული გული ცოტნესი, როცა ამისთანა დამამცირებელ მდგომარეობაში ნახა წარჩინებული ქართველნი. მაგრამ ამასთან ნუგეშიც იგრძნო, რადგან დაინახა, თუ რა ღირსეული ვაჟკაცობით იტანდნენ ამ სათაკილო სასჯელს მისი მეგობარნი.

ცოტნე გადმოხტა ცხენიდან, მივიდა თავის მეგობრებთან და მხურვალედ მიესალმა; მერე ფიცხლავ გაიძრო თავისი ტანისამოსი, გატიტვლდა, თვითონვე შეიკრა თოკებით მკლავები და ჩაჯდა ამ სახით თავის მეგობრებს შორის დაღონებული. როცა ეს ამბავი ნოინს მოახსენეს, იგი საშინლად გაოცდა, დაიბარა თავისთან ცოტნე და ჰკითხა მიზეზი, რად მოვიდა აქ და რად ჩაჯდა გატიტვლებულ ქართველთა შორის. ცოტნემ მიუგო: მე მოვედი იმიტომ, რომ ჩემი ამხანაგები უდანაშაულონი არიან. უდანაშაულოთა დასჯა კი თუ შეიძლება, მეც მათთან ერთად დამსაჯეთო.

ამ სამაგალითო სათნოებამ და იშვიათმა მეგობრულმა ერთგულებამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ნოინზე, რომ მან თქვა: რადგანაც ქართველნი იმდენად სათნონი და კეთილნი ყოფილან, იმდენად ერთგულნი ერთმანეთისა, რომ შორეული აფხაზეთით მოვიდა ეს დიდებული კაცი, რათა თავი დასდოს მეგობრებისათვის, ამიტომ ვენდობი მეც მათ და ვანთავისუფლებ ყველასო.

ასე იხსნა სახელოვანმა მამულიშვილმა ცოტნე დადიანმა რჩეული ქართველები საშინელი წამებისაგან.

ტყვეობიდან დაბრუნებულნი ქართველნი შეუდგნენ ქვეყნის გაძლიერებას, დაამყარეს ამერთა და იმერთა შორის ძმური კავშირი და ერთობა, და განდევნეს თავისი ქვეყნიდან მონგოლნი.

სტუმარი

ინტერვიუ

# „ომს ვერცერთ შემთხვევაში ვერ ავიცილებდით“

***ისინი ჩვენს გვერდით არიან, ცხოვრობენ, ფიქრობენ... მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ყურადღებას ვერ ვაქცევთ, არიან ისეთებიც, რომელთაც ცხოვრების საინტერესო საფეხურები აქვთ გავლილი, გააჩნიათ უდიდესი გამოცდილება და საინტერესო შთაბეჭდილებები, აქვთ სიტუაციის შეფასების საკუთარი ვერსიები–ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ყოფილი სამხედრო მაღალჩინოსანი, ვალერი ქვარაია, რომელიც ამჟამად სოფელ ხამისქურში ცხოვრობს. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.***

***ბატონო ვალერ, თქვენ ძალზე საინტერესო და განსწავლული ადამიანი ბრძანდებით, გვიამბეთ თქვენ წარმომავლობაზე, ოჯახზე, შვილებზე და შვილიშვილებზე?***

–ვარ აფხაზეთიდან, დავიბადე გალში, ვცხოვრობდი სოფელ ჭუბურხინჯში. ბავშვობა რთული, მაგრამ საინტერესო მქონდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავირიცხე თბილისის სამხედრო საარტილერიო სასწავლებელში. ვმსახურობდი საბჭოთა კავშირის ბევრ რესპუბლიკაში, გერმანიაში. დავამთავრე ლენინგრადის სამხედრო სამეთაურო, საარტილერიო აკადემია. 1992 წლიდან 2003 წლამდე ვმსახურობდი ქართულ არმიაში. სამხედრო კარიერა გავიარე ოცეულის მეთაურიდან დივიზიის სარაკეტო და საარტილერიო ჯარების სარდლის თანამდებობამდე. საქართველოს არმიაში ვიყავი ბრიგადის მეთაური, არტილერიის სარდალი, აფხაზეთში ომის პერიოდში მე-2 საარმიო კორპუსის არტ. სარდალი; კორპუსის შტაბის უფროსი, კორპუსის მეთაური, პრეზიდენტის სამხედრო მრჩეველი.

მყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

***როდის გადადგით პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი?***

–ძალიან ადრე, ბავშვობაში.

***რამ გადაგაწყვეტინათ პროფესიის არჩევა?***

–ბაბუა, მეფის რუსეთში პორუჩიკი იყო. მამა სამხედრო ექიმი, ბაღში, სკოლაში ჩამომიყალიბდა აზრი და მეც ავიტაცე, რომ უნდა ვყოფილვიყავი სამხედრო. ისე ერთ ბანალურ ისტორიას მოგიყვებით: ბაღში ყოფნისას, ვიყავი 5-6 წლის, ეზოში ბოშები წყლის დასალევად შემოვიდნენ. ჩვენ ინტერესით ვათვალიერებდით მათ და ამ დროს ერთ-ერთმა ბოშა ქალმა ჩემკენ გამოიშვირა ხელი და თქვა, რომ მე ვიქნებოდი ოფიცერი,–მაიორის წოდებით. ასე, რომ ბევრმა ფაქტორმა იმოქმედა ჩემს არჩევანზე.

***თქვენ, როგორც ყოფილ სამხედრო მაღალჩინოსანს, ყველანაირი ხერხი გამოგიყენებიათ თუ არა მიზნის მისაღწევად?***

–თუ კარიერას გულისხმობთ, მაშინ მქონდა საშუალება მაქსიმალურად დავხარჯულვიყავი და გარემომ მიზანს მიმაღწევინა, მაგრამ თუ გულისხმობთ ომში, ან ბრძოლებში მიზნის მიღწევას, აქ იმდენად არ გამიმართლა. შევეცდები ავხსნა თუ რას ვგულისხმობ. როცა კარიერაზე ვსაუბრობდი, აქ ყველაფერი პირადად ჩემზე იყო დამოკიდებული და მე ეს შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოვიყენე, ხოლო ომის დროს მიზნის მიღწევა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. მაგალითად: მთავარია ადამიანების გაწვრთნილობა, პროფესიონალიზმი, მათი მოტივაცია, სამხედრო აღჭურვილობის ხარისხი და რაოდენობა, ქვეყანაში ერთიანობა და კანონის უზენაესობა, არმიაში მკაცრი დისციპლინა, სამართლიანი გარემო, სამხედრო ტრადიცია, ომის მიზანი და ბევრი სხვა რამ, რაც მაშინ არ იყო და ვერც იქნებოდა მრავალი მიზეზის გამო, ასე, რომ მიზნის მიღწევის საკმაო პოტენციალი პირადად მე გამაჩნდა და გამაჩნია, მაგრამ ქვეყანას გააჩნდა თუ არა, თქვენ თვითონ განსაჯეთ.

***როგორ ფიქრობთ, როგორც აფხაზეთში ნაომარი, ერთ-ერთი წარმატებული გენერლის გადმოსახედიდან, შეგვეძლო თუ არა აგვეცილებინა კონფლიქტი (ვგულისხმობ აფხაზეთის ომს)?***

–სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ომს ჩვენ ვერც 1992-ში და ვერც 2008–ში ვერ ავიცილებდით. შევეცდები ეს დავასაბუთო. ომისწინანდელი რიტორიკის, ბრძანებებისა და მოვლენების თანმიმდევრული ქრონოლოგიის ხანგრძლივი, დამღლელი აღწერის გარეშე. პირველი: რუსებს ომამდე და ომის შემდგომაც ყველაფერს აკეთებდნენ ძირძველი აფხაზების დასამცირებლად, ღირსების წასართმევად და ტერიტორიიდან გასადევნად. ამ საკითხზე მუშაობდნენ ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს და უფრო გულმოდგინედ საბჭოთა კავშირის დაშლის წინა წლებში. 1988–1991 წლებში გამოიცა საიდუმლო და სრულიად საიდუმლო სახელმძღვანელოები და წიგნები იმპერიის დაშლის საწინააღმდეგო პრევენციული ზომების თაობაზე. 1992 და 2008 წლებში განვითრებული მოვლენები ამ სახელმძღვანელოების სცენარით ტარდებოდა. დღეს შეიძლება მრავალი ქართველი, ვინც არ არის ამ პერიპეტიებში ჩახედული, სხვანაირად ფიქრობდეს, მაგრამ იქ, აფხაზეთში ომის დროს ყველა ადგილობრივი მებრძოლი და მოქალაქე ამართლებდა აფხაზეთში ჩვენი ჯარების შეყვანას, თუმცა მე იმავე ადამიანებისგან ვინც ომს ამართლებდა მაშინაც, დღესაც საპირისპირო აზრიც მომისმენია. ახლა კი მკითხველმა თვითონ იფიქროს, მე კი ასე ვიტყოდი, მაშინ ომს ვერ ავიცილებდით, მაგრამ დღევანდელი გადმოსახედიდან ზოგიერთმა შეიძლება საპირისპიროც დაამტკიცოს. ისე, სხვათაშორის, გენიალურ ადამიანს უთქვამს, „სხვა სხვის ომში ბრძენიაო“.

***თუ არა მაშინდელი ხელისუფლების პოლიტიკა, ვგულისხმობ აფხაზეთში საპოლიციო და სამხედრო ძალების შეყვანას, მიიღებდა თუ არა რუსეთის პოლიტიკა ოკუპაციის სახეს, მაშინდელ ხელისუფლებას, რომ ჰქონოდა აქტიური თანამშრომლობა მსოფლიოს თანამეგობრობის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (ევროკავშირთან, ნატოსთან, გაეროსთან და ეუთოსთან) ავიცილებდით თუ არა 1993 წლის 27 სექტემბრის აფხაზეთის ტრაგედიას?***

–ვინც მე მიცნობს, კარგად იცის, რომ ტყუილს არ ვიტყვი. ბევრჯერ მომისმენია და მინახავს ექსტრემალურ სიტუაციაში ყოფილი პრეზიდენტის ე. შევარდნაძის სატელეფონო საუბრები და წერილობითი მიმართვები სხვადასხვა ქვეყნის გავლენიან ადამიანებთან მიმდინარე მოვლენებზე და სიტუაციის შესაძლო განვითარებაზე, მინახავს მისი იმედგაცრუებული და სასოწარკვეთილი სახე, უსაზღვრო გამბედაობა და მონდომება. სხვებზე უკეთესად ვიცი მისი უარყოფითი და დადებითი თვისებები და მის გამართლებას არ ვაპირებ, მაგრამ მგონია და მჯერა, რომ მან მაშინ ის გააკეთა, რაც უნდა გაეკეთებინა.



იგივე განმეორდა 2008 წელს. თავიდან ბევრი ამაყობდა და ამართლებდა მიმდინარე მოვლენებს, მაგრამ სულ რაღაც 5 დღეში, იგივე ადამიანები, საპირისპიროს ამტკიცებდნენ. მჯერა, რომ თუ ჩვენი მეგობრები (პარტნიორი ქვეყნები), ისევე მოიქცევიან, როგორც წინა ორი ომის წინანდელ სიტუაციის პერიოდში–რუსები პროვოცირებას მესამედაც შეძლებენ.



***თუ გჯერათ იმისა, რომ მოუშუშებელი ჭრილობა–აფხაზეთი და სამაჩაბლო დედასამშობლოს დაუბრუნდება?***

–მჯერა, აფხაზეთი და სამაჩაბლო დაუბრუნდება საქართველოს იქიდან გამომდინარე, რომ ბოლოს და ბოლოს ყველა იმპერია გარდაუვალად იშლება და არც რუსეთის იმპერია იქნება გამონაკლისი.

კიდევ იმიტომ მჯერა, რომ ამის სჯერა პატრიარქს და მისი მრევლს, საქართველოს პრეზიდენტს და მის გუნდს, მსოფლიოს საზოგადოების ცნობილ ადამიანებს და ჩემს „მჯერას“ დავუმატებდი. საქართველო მაშინ გამთლიანდება, როდესაც ამას ქართველი ერის უმეტესი ნაწილი ირწმუნებს.

***რამ განაპირობა თქვენი შვილების მიღწევები?***

–რა თქმა უნდა, ყველაფერი დედაზე ბევრად არის დამოკიდებული, მაგრამ მინდა, რომ ეს მიზეზი ჩემი პირადი მაგალითიც იყოს.

***ბრძენს უთქვამს, „იმედი ყველაზე ბოლოს კვდებაო.“ რა აზრის ბრძანდებით ამაზე. საქართველოს ხვალინდელი დღე როგორ გესახებათ ?***

–არიან ადამიანები, რომლებიც ამ საქმეს გადაწყვეტენ. ჩვენი ეკლესია.–ამ თემაზე მერაბ მამარდაშვილი ასეთ მინიშნებას აკეთებდა. ერთ-ერთი ჩანაწერი განდის სიტყვებიდან (ტექსტთან ახლოს) „ჩვენმა რევოლუციამ განდევნა პატიოსანი და პროფესიონალი ინგლისელი ადმინისტრატორები და ჩვენ მათ ადგილას დავინიშნეთ ადგილობრივი ხეპრე, კორუმპირებული და გაუნათლებელი ადამიანები, მაგრამ რევოლუცია იმად ღირდა, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენ დავინახავთ, თუ როგორები ვართ, ჩვენ დავიწყებთ ჩვენი სახის, სულის და ხასიათის გამოსწორებას.“

მ. მამარდაშვილს ებრაელების ისტორიაც აქვს მოყვანილი, ეგვიპტედან ებრაელების გამოყვანის შემდეგ მოსემ ისინი 40 წელი ატარა უდაბური და ურთულესი გზებით მანამ, სანამ მონური ჩვევების მქონე თაობა არ გადაშენდა და დარჩენილმა თაობამ არ შეითვისა ღირსება, თავგანწირვა, პასუხისმგებლობა და რწმენა.

და მესამეც, მ. მამარდაშვილს მოჰყავს ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითი, რომ მათ უფრო გაუადვილდებათ დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლობა, რადგან 1921 წლიდან 1940 წლამდე გაიარეს დამოუკიდებელი ქვეყნის პერიოდი და ეს 19 წლიანი გამოცდილება აძლევთ მათ უპირატესობას.

ასე, რომ თუ ყურადღებით დავაკვირდებით ინდოეთის მაგალითს და იმასაც, რომ არც ბალტიისპირელებს აქვთ მაინცდამაინც დალაგებული სიტუაცია და ებრაელების 40 წლიან წვალებასაც, გამოდის, რომ მინიმუმ 20 წელი რთული გზა კიდევ გასავლელი გვაქვს.

***ახლა, როცა დამსახურებულ პენსიაზე ბრძანდებით, თქვენს მიერ გავლილი გზის შეფასებაც ობიექტურად შეგიძლიათ. რას გვეტყვით, რის შეცვლას მოისურვებდით?***

–შევცვლიდი ადამიანების მიმართ გულგრილობას, უსამართლობას და უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევდი მათ პრობლემებს.

***რისი თქმა გსურთ? თავად რა შეკითხვაზე უპასუხებდით საკუთარ თავს?***

–ყველაზე რთული კითხვაა „თუ რას ვურჩევდი სხვებს?“ ვინც ასეთ სერიოზულ საკითხს ეხება, ასეთ ადამიანს ღმერთი მკაცრად, სამართლიანად ექცევა და არც ერთ შეცდომას არ პატიობს, მაგრამ გავრისკავ (ღმერთო მაპატიე!).

ჩემი აზრით, ჩვენმა თაობამ, საქართველოს ისტორიაში გაიარა ყველაზე რთულ და პიროვნების დამანგრეველი კომუნისტური პერიოდი. ბევრი რამ კომუნისტებს დადებითიც ჰქონდათ, მაგრამ მთავარი უბედურება ის იყო, რომ ადამიანში პიროვნება არ უყვარდათ, ადამიანის სულიერი მხარე შემოფარგლული, შეზღუდული იყო და მას მცდარი ბუნების საწინააღმდეგო ილუზიებით აბრუებდნენ. 70 წლიანი დროის განმავლობაში ჩვენს თაობას წაართვეს რწმენა, რწმენა კი ის არის, რაც ადამიანს აძლიერებს, აძლევს აზროვნების საშუალებას, ხდის ამტანს და პოზიტიური მოქმედებისკენ მოუწოდებს, აყალიბებს ფსიქოლოგიურად ძლიერ ადამიანად და საშუალებას აძლევს, იყოს ადეკვატური ნებისმიერ სიტუაციაში. რწმენის დაკარგვამ მოიტანა მეორე უბედურება–ინერტულობა, მიძინება, რაღაცის ან ვიღაცის მოლოდინი, ვინც ყველა პრობლემებს გადაჭრიდა... არ ვიცი რამდენად დამაჯერებლად ვამბობ, მაგრამ ვფიქრობ, რომ სანამ ჩვენ, მათ შორის მეც, ნამდვილად გულით არ ვირწმუნებთ ღმერთს, მანამ დავრჩებით ამ უბედურებაში.

მოკლედ, ასე ვიტყოდი, საკუთარი თავის რწმენა მოდის ღმერთის მეშვეობით და თუ საკუთარი თავის რწმენას დაუმატებ პოზიტიურ სურვილებს და ნებისყოფას, გარწმუნებთ და მჯერა, რომ ყველაფერი გამოგვივა.

***ესაუბრა ლაშა ცატავა.***

აგვისტოს ომის ექო

# „ნეტავ ღირსეულ მტერს მოვეკალი, არ გამყვებოდა დარდი ამხელა!“

## ვალად დადებული სიცოცხლე

ოცდამეერთე საუკუნე და ეთნიკური გენოციდი...

ოცდამეერთე საუკუნე და ინტერვენცია...

რუსეთის ხელისუფლების ეს ქმედებები როგორ ამართლებს მე-19 საუკუნის ბოლოს თავისი ერთ-ერთი საუკეთესო შვილის მიერ გამოთქმულ შეფასებას: „გტოვებ, რუსეთო, დაუბანელო“...

რუსეთის პოლიტიკური ელიტა, სხვათა ტერიტორიების დაპყრობისაკენ დამოუკიდებელი სწრაფვის სურვილისაგან არავინ უწყის როდის განიბანება...

ამის დასტური 2008 წლის აგვისტოს ომიცაა...

არა ომი მხოლოდ რუსეთ-საქართველოს შორის, არამედ ომი დემოკრატიასა და დიქტატურას, სიმართლესა და უსამართლობას, თავისუფლებასა და ტოტალიტარიზმს შორის...

ჩვენ ვერ მოვიგერიებდით საქართველოსაკენ დამიზნებულ რუსეთის შეიარაღების თითქმის სრულ არსენალს და ვერც ლამის ქუდზე კაცად გამოყვანილ მათს ცოცხალ ძალას გავუმკლავდებოდით მედგარი წინააღმდეგობის გაწევის და ღირსეულად ბრძოლის მიუხედავად...

ომში გამარჯვება არ ნიშნავს ბრძოლის მოგებას...

ამიტომაც გამოვიდა საქართველო გამარჯვებული ამ ბრძოლის თალპიონიდან...

ოღონდაც... იმ გმირების სიცოცხლის ფასად, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღის მესაჭენი უნდა ყოფილიყვნენ...

აგვისტოში ცხრა ხობელმა ვაჟკაცმა მიიტანა საკუთარი სიცოცხლე მამულის სამსხვერპლომდე...

თითოეულ ჩვენთაგანს ცხრა ხობელისა და საქართველოს სხვა კუთხეების მრავალი შვილის სიცოცხლე დაგვედო ვალად მანამ, სანამ ჩვენი მიწა-წყლის თუნდაც ერთი მტკაველი იქნება ოკუპირებული...

დღევანდელი ხელისუფლებისათვის არც არსებობს უპირატესი მიზანი, ვიდრე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა და, ყველა ცივილიზებული მეთოდით ცდილობს, უმოკლეს ვადაში მოაგვაროს ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, ჩვენთვის კი ეროვნული ღირსების საკითხად ქცეული პრობლემა...

კიდევ ერთხელ ვიხრი ქედს გოგა ჭითანავას, დათა ხურცილავას, გოგა ბერაიას, ზვიად დათუაშვილის, მიხეილ იოსავას, ლევან ტურავას, ლევან ჭოჭუას, გოგიტა ქარჩავას, რამაზ კიტიას და ყველა იმ ჩვენი თანამოქალაქის ხსოვნის წინაშე, რომელთა სიცოცხლეც ნაადრევად შეიწირა რუსეთის აგრესიის სისასტიკემ...

მარადიული ხსოვნა თქვენი და მამულისათვის თავდადება-სამაგალითო...

*მამუკა ჭოხონელიძე*

## გაუსაძლისი ტკივილი... და მაინც სიამაყე



ქვემო ქვალონში, სოფლის განაპირას, ლამაზ კარ-მიდამოს მუქი ფერი მოეძალა. თითქოს, ღრუბლებიც ხალხთან ერთად მოგროვდა... უამრავ ადამიანთა შორის იდგა (იდგა კი?), დაბეჩავებულ-დაპატარავებული (არადა ფიზიკურად მართლაც გამორჩეული, რომ იტყვიან, მთას წააქცევსო) ოჯახის მამა. ყველა მიმსვლელს უაზროდ აკვირდებოდა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ყველასგან შველას ითხოვს, იქნებ შვილი გადამირჩინოთო.

2008 წლის 8 აგვისტოს სენაკის სამხედრო ბაზის დაბომბვის დროს დაღუპული ბიჭების სულის მოსახსენიებლად ლოცვად აღვლენილ მოსახლეობას ტკივილის ტალღამ კიდევ ერთხელ გადაუარა და ქვემო ქვალონში ნუგზარ (კიტო) ქარჩავას ოჯახში სამუდამო ბინა დაიდო.

ოთხი ვაჟის მშობლებს ნაირი კოდუას და ნუგზარ ქარჩავას სიხარულით სავსე ოჯახი ჰქონდათ. შრომაში ხედავდნენ ბედნიერებას. მათი შვილი–კაპრალი გოგიტა, რიგით მეორე ვაჟი, სხვათაგან გამორჩეული იყო. დედისთვალებას ლამაზი გარეგნობა ჰქონდა, იყო მშვიდი და გაწონასწორებული. სკოლის დამთავრების შემდეგ სენაკის აგრარულ–ეკონომიკურ კოლეჯში სწავლობდა... სამხედრო სავალდებულო სამსახურში ყოფნისას კონტრაქტი გააფორმა, ვაზიანის მეოთხე ბრიგადის მეტყვიამფრქვევე იყო.

10 აგვისტომდე ხალისიანი დღეები ჰქონდა, შინ ერთი კვირით დაბრუნება, ერაყში წასასვლელად სამზადისი, ოჯახში გატარებული დრო, ახლობლებთან მოსიყვარულება, დედის ლოცვა–დარიგება, ცრემლიანი და სიყვარულიანი გაცილება.

7 აგვისტოს, უფროს ძმა კახას ტელეფონით შეეხმიანა, გორისკენ მივდივართ, დედას არ უთხრაო,–ეს იყო ბოლო შეხმიანება. 10 აგვისტოს გორთან შეტაკების დროს დაჭრილს ჰოსპიტალში ძმამ ცოცხალს ვერ მოუსწრო... იქ მყოფებმა უთხრეს, ოჯახზე სწუხდაო.

შემდეგ იყო გაუსაძლისი ტკივილი და მაინც სიამაყე, ქვეყნის ზვარაკად შეწირული შვილის, მეგობრის, მეზობლის გამო.

მისი სახელის უკვდავსაყოფად სოფელში გოგიტას სახელობის სტადიონი გაკეთდა, ქ. ხობში–მემორიალი... პრეზიდენტის ბრძანებულებით „მხედრული მამაცობისათვის“ მედალი და იმედი იმისა, რომ მის სახელს დავიწყება არ უწერია...

ქარჩავების დიდ ოჯახში ყველაფერი ისე გრძელდება, როგორც მას უნდოდა. გავა დრო და ალბათ, კვლავ გაივლის ამ ეზოში გოგიტა ქარჩავას სეხნია და იამაყებს ბიძის ცხოვრებით და მისი ლამაზი წარსულით.

შენს თანასოფლელებს ეამაყებით გოგიტა, უყვარხართ, ენატრებით...

*მერი ლაგვილავა*

## მის სახელს მონატრება ჰქვია



უცებ დედამიწა შეტორტმანდა, ცა ჩამოიქცა, ყველაფერი წამებში დაინგრა. თითქოს ყოველივემ არსებობა შეწყვიტა. ირგვლივ მხოლოდ ტყვიებისა და ბომბდამშენების ქუხილი ისმოდა. გლოვის ზარმა ჩამოჰკრა 2008 წლის 8 აგვისტოს ღამეს. იმ ღამეს, როცა სენაკის სამხედრო ბაზა რუსი ოკუპანტების მიერ იქნა დაბომბილი. მტერი სენაკის ბაზას ბომბავდა. ბიჭები მიწას გაერთხნენ, მასაც უყვიროდნენ–„დათა, დაწექი!“ ის არ დაწვა–როგორ დავწვე, დაჩის ვერ ვპოულობო. უმცროსი ძმის ძებნა განაგრძო და... ბომბის ნამსხვრევი მოხვდა კიდეც იმ წუთას... დათამ სუნთქვა შეწყვიტა...

დათა ხურცილავა სიცოცხლით სავსე 22 წლის ბიჭი იყო... ომის დაწყებისთანავე რეზერვისტად წავიდა ის იმ დილით სამსახურში იყო, ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა, გული აქეთკენ მოუწევდა, აწუხებდა ქვეყანაში მომხდარი არეულობა, მისი უმცროსი ძმა დაჩიც რეზერვისტთა ბანაკს უერთდებოდა. დათამ ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ სამსახურიდან თავი გაინთავისუფლა–ჩემს სამშობლოს ვჭიდები, ჩემი ძმაც იქ არის და მას მარტო ვერ დავტოვებო!

ძმებს იმდენად დიდი სიყვარული აკავშირებდათ, რომ შეეძლოთ ერთმანეთისთვის სიცოცხლე გაეწირათ...

როცა სენაკის ბაზა დაიბომბა, ძმების მამა სამხედრო ბაზის კართან იდგა. ბაზაში პირველი შეიჭრა და იქ ნამდვილი სასაკლაო დახვდა. მისი უმცროსი ბიჭი დაჩი მძიმედ დაჭრილი იპოვა, მომაკვდავი შვილი ხელში აიყვანა და გასასვლელისკენ გაიქცა. იქვე სასწრაფოც გაჩნდა... სასოწარკვეთილმა მამამ დათას პოვნა დაიწყო და იპოვა კიდეც, მაგრამ ის უკვე აღარ სუნთქავდა...

დათა 1986 წლის 16 თებერვალს დაიბადა ქ. ხობში. 2003 წელს დაამთავრა ხობის საერო სკოლა „არეა“. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა საქართველოს ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტში განაგრძო, რომელიც 2007 წელს წარჩინებით დაამთავრა. იმავე წელს ყულევის ტერმინალში უსაფრთხოების ოფიცრად დაიწყო მუშაობა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა. დათა როგორც მეგობრებში, ახლობლებში, ასევე კოლექტივშიც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა. ყველას სიყვარული შეეძლო და საპასუხოდაც სიყვარულს იღებდა.

მართლაც ძნელია თავი მოუყარო სიტყვებს და ის ავადმოსაგონარი ღამე გაიხსენო, საზარელი ტრაგედია დაატყდა ხობს, გამორჩეული ბიჭები დაკარგა საქართველომ. ხურცილავების ოჯახის სიხარული მწუხარებამ შეცვალა. მათი ოჯახის პირველი სიხარული ცოცხალი აღარ იყო, ოჯახის წევრები იმისთვის ცოცხლობდნენ, რომ მძიმედ დაჭრილი მეორე შვილის,–დაჩის სიცოცხლე ეხსნათ. ის რომ გერმანიაში არ წაეყვანათ, ვერ გადარჩებოდა.

...დათას დაღუპვის შემდეგ გაიხსნა, მისი სახელობის სტადიონი, სადაც მის დაბადების დღეს, მისი სახელობის ფეხბურთის ჩემპიონატი ტარდება.

სიცოცხლით სავსეს რამდენი რამ დარჩა აუსრულებელი, რამდენი ოცნება განუხორციელებელი. დათა შეყვარებული იყო, ლამაზი გულისწორი ყავდა და დაქორწინებას აპირებდნენ.

გადის დრო, მაგრამ მის სახელს და სიყვარულს ყოველდღიური მონატრება ახლავს თან. ის ყველას ემახსოვრება, როგორც ყველაზე ზრდილობიანი, გულწრფელი, განათლებული, საუკეთესო ახალგაზრდა.

## ტკივილად მოაგონდებით...



8 აგვისტოს დადგომა ჩემთვის უმძიმესი ტკივილია, მოუშუშებელი იარა... პირველი უბედურება წლების წინათ მესაგზლა, როცა ჩემი სიყრმის შვილი, უფროსი ვაჟიშვილი, უცოლშვილო ბიჭი მიწას მივაბარე. შვილმკვდარი დედა, თვალებში ცრემლგამშრალი ქალი დანარჩენ შვილებსა და შვილიშვილებს შევხაროდით. მე და ჩემი მეუღლე მტკივან გულს მათი კარგად ყოფნის სურვილით ვიოკებდით. გვახარებდა მათი წარმატებები, მაგრამ...

გოგა ჭითანავამ–ჩემმა უფროსმა შვილიშვილმა,. ჩემი ერთადერთი ქალიშვილის პირველმა შვილმა, როცა უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა, დაცოლშვილება გადაწყვიტა, სამსახურის დაწყებასაც აპირებდა, 22 წლის ვაჟკაცს წინ ლამაზი ცხოვრება ელოდა. ყველანი ვხარობდით, მაგრამ სამშობლოს სიყვარულმა ყველაფერს სძლია. პატრიოტული სულისკვეთებით გულანთებულმა გოგამ გადაწყვიტა წვრთნა გაევლო და სამშობლოს თუ დასჭირდებოდა, მისთვის ებრძოლა, ელვაწა.

გოგა მართლაც გამორჩეული გახლდათ თანატოლებში თავაზიანობით, შესახედაობით. ფეხბურთს ძალიან ეტრფოდა და ფეხბურთელიც იყო. რა ვთქვა არ ვიცი, ყველაფერი სურდა, ყველაფრის მოსწრება უნდოდა, თუ... ალბათ გრძნობდა, რომ განგება „სიურპრიზს“ უმზადებდა, ვინ იფიქრებდა რომ ყველაფერი ცუდად დამთავრდებოდა.

...რუსეთის აგრესიამ ჩვენი ქვეყნის მიმართ პიკს მიაღწია, მან ჩვენი მიწა–წყლის განადგურება მოინდომა...

8 აგვისტოს, იმ ავადმოსაგონარ დღეს, ჩემი შვილისა და ჩვენთვის ტრაგიკულ დღეს, გოგა დანარჩენ რეზერვისტთან ერთად სენაკის სამხედრო ბაზაში იმყოფებოდა... გოგა და მისი მეგობრები, ჩვენი „პატრიოტი“ ბიჭები პირველივე დაბომბვის მსხვერპლნი გახდნენ... რომელი ერთი ვახსენო, ისინი ჩემს გოგასთან ერთად „ღიმილის ბიჭებად“ დარჩნენ, სამშობლოსათვის თავგანწირვა ესაგზლათ ბედად... ასე დავკარგე ჩემი ლამაზი, უიღბლო და თავმომწონე ბიჭი გოგა ჭითანავას ჩემი დიდი ტკივილი და სევდა.

გოგა და მისი დაღუპული თანატოლები, რომლებიც ამ დღეს ემსხვერპლნენ, არა მარტო თავიანთი ოჯახების, არამედ სრულიად საქართველოს ტკივილად იქცნენ.

უკვე მესამე წელია გაუსაძლისი გახდა შენი მონატრება ბებო. ჩემო კარგო ბიჭო, ჩვენო დიდო დანაკლისო. ბაბუამ, რომელიც ისედაც ავადმყოფი იყო, ამდენ ტკივილს ვერ გაუძლო და როინისთან და შენთან წამოვიდა... მე და შენი ოჯახი თქვენი მონატრებით ვცხოვრობთ...

8 აგვისტო თავს ყოველთვის შეახსენებს ყველა ხობელს. ამ დღეს თქვენ ყოველთვის განსაკუთრებული ტკივილით მოაგონდებით. სამშობლო არასოდეს დაგივიწყებთ, რადგან გმირებს დავიწყება არ უწერიათ, თქვენც ხომ გმირები ხართ, სამშობლოს სიყვარულს შეწირული შვილები.

ბებო, თქვენ ღვთის რჩეულნი ხართ!

ნათელში იყოს შენი და იმ დღეს დაღუპული დანარჩენი პირტიტველა ბიჭების სულები.

*ბებია მაგული გაგუა–ბუკია.*

## ხორგელების სიამაყე



ლამაზი, საინტერესო ბავშვობა ჰქონდა, პედაგოგების ოჯახში გაიზარდა (ბებია ქალბატონი შურა დათუაშვილი დამსახურებული მასწავლებელი გახლდათ). ზვიადი ტანადი, ნიჭიერი, კაცთმოყვარე, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი... ფიზიკურად ძლიერი, მაღალი, მთასავით ბიჭი იყო.

მტრის ტყვიამ იმსხვერპლა მაშინ, როდესაც სამშობლოს სადარაჯოზე, ფოთის სამხედრო ბაზაში იმყოფებოდა.

ფიქრობდა და ოცნებობდა „გენერლობაზე“ ყველა საჭირო საბუთი მზად ჰქონდა გერმანიის სამხედრო აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად რომ გამგზავრებულიყო.

მაგრამ...

2008 წლის 8 აგვისტოს შეწყდა სიცოხლე ხორგისა და ხორგელებისათვის საამაყო ვაჟკაცისა. მის ხსოვნის სტრიქონებს იოტისოდენა შელამაზება არ სჭირდება. იგი გმირია, სამშობლოს ერთიანობასა და თავისუფლებას შეწირული, როცა მისი დაღუპვის ამბავი გაიგეს მისმა ახლობლებმა, მეგობრებმა, მეზობლებმა დრო გაჩერდა, რომელიც ყველას მეხსიერებაში ჩაიბეჭდა და მუდამ დაუვიწყარი იქნება.

*ნაირა ბერაია.*

# „ნეტავ ღირსეულ მტერს მოვეკალი, არ გამყვებოდა დარდი ამხელა

## სიმტკიცე, რომელიც აგვისტოს მოაქვს

აგვისტოს საქართველო. 2008 წლის აგვისტოს ხობი. გულანთებული ხობელი ბიჭები. თითოეული მათგანი აგვისტოს იმ ტრაგიკული დღეების განმავლობაში ჰგავდა ეროვნულ გმირსა და ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულ–ცოტნე დადიანს. აგვისტო... ამ თვეს ხობელებს ერთად გვტკივა და ერთად გვეამაყება, რომ ისევ დაიზარდნენ ქართველები, „ვინც ერთგულებითა და სიმტკიცით განაცვიფრა მტერი“.

იქ, სადაც გვეგულვის ცოტნე დადიანისა და ქართველ მამულიშვილთა სასუფეველი, ამაღლებულან გოგა ბერაიას, მიხეილ იოსავას, ლევან ჭოჭუას, გოგა ჭითანავას, ზვიად დათუაშვილის, ლევან ტურავას, დათა ხურცილავას, გოგიტა ქარჩავას, რამაზ კიტიას სულები. ცხრა ხობელი გმირის სახელი შეემატა ქვეყნის თავისუფლებისა და ერის უკვდავების ისტორიას. ეს სიამაყეცაა და ულრმესი ჭრილობაც, მაგრამ ჩვენ გვაქვს იარაღი, ჩვენი ჭრილობების დასაცავად. ეს არის ისტორიის ფურცლებზე გაბნეული ამბები გმირობისა, რომელიც დღემდე ასაზრდოებს ერის სულს და გვიყვება, რომ მახვილითა და კალმით, მშვიდობითა და ომით, ნგრევის წილ–შენებით, ღალატის წილ ერთგულებით, უსახელო გმირებითა და მამულს შეწირულთა წმინდანობამდე ამაღლებული სახელებით იქმნებოდა და იწერებოდა სალბუნი ნებისმიერი იარისა და ჭრილობისა. აგვისტო–უდიდეს ეროვნულ მუხტს ატარებს „ცოტნეობასა“ და „დიდგორობას“. ცოტნეს თავდადება მტერთა განცვიფრებაა და დიდგორი –„ძლევაი საკვირველი“.

ეს ისტორია გრძელდება 21-ე საუკუნეში, როცა დიდი სულის პატარა ერი, საქართველო, ისევ ისე იბრძვის თავისუფლებისთვის და ისევ ისე იცავს თავისუფლებას, როგორც ყოველთვის. 2008 წლის აგვისტოს დღეებმა კიდევ ერთხელ უჩვენა კაცობრიობას, რომ შეუძლებელია „არა თუ დამონება, დაჩოქებაც კი, რადგან მტრის ყველა მცდელობა, საბოლოოდ მარცხისთვისაა განწირული.

აგვისტოს დღეებმა გააოცა მთელი მსოფლიო, როგორც არა ძალისმიერად, არამედ მტერზე ზნეობრივად გამარჯვებულმა პატარა ქვეყანამ. სწორედ ესაა საქართველოს ისტორიის დიდებულება. ამიტომ თითოეულ ხობელთან ერთად მუხლი მოვიდრიკოთ აგვისტოს გმირების საფლავებთან და მემორიალთან, ნუგეში ვცეთ ცრემლგაუმშრალ დედებს, სანთლებად დაენთოს თითოეული ლოცვა, მათი სულის საოხად.

აქ არის რწმენა და მამულის სიყვარული, სადაც სიცოცხლის საწყისიც სამშობლო ყოფილა და აღსასრულიც მისთვის თავგანწირულს უპოვია.

ხობის სამების ეკლესიასთან, ცოტნე დადიანისა და აგვისტოს გმირების თითქმის გვერდიგვერდ აღმართული ძეგლი და მემორიალი თითქოს ყვებიან, როგორ უნდა იცხოვრო, ისე, რომ სანთელი დაგინთონ, მუხლი მოიდრიკონ და მომავალს გადასცენ უკვდავებისთვის შექმნილი სახელები.

სიცოცხლე გრძელდება... ამ სამი წლის განმავლობაში ხობში აგვისტოს გმირების სახელობის ქუჩებზე მოაბიჯებს მომავალი თაობა, იმარჯვებენ მათი სახელობის სტადიონებზე, მიდიან ხსოვნის მემორიალთან და აქედანვე იციან, რომ ცოტნე დადიანის და ცხრა გმირის სახელთან გაიგივებული ხობის შვილობა ბევრს ავალდებულებთ.

არ შემიძლია არ ვისაუბრო იმ საშინელ ღამეს გადარჩენილ დაჩი ხურცილავას შესახებ. ღვთის მადლით გადარჩენილი შვილი, მიუხედავად ძმის დაკარგვით მიღებული სულიერი და გაუსაძლისი ფიზიკური ტკივილებისა, იმედის სხივად გვესახება. ისე, როგორც აგვისტოს იმ ღამეს არ შეყოვნებულა წამით, ახლაც საოცარი შემართებით დგას ოჯახისა და საზოგადოების გვერდით. აღდგომის დღესასწაულზე, სწორედ დაჩის მიეცა კურთხევა, ჩამოეტანა ღვთიური ცეცხლი, კურთხევა და ჩვენი ლოცვა მიყვებოდა მას, როგორც სიმბოლოს სიცოცხლის გაგრძელებისა. ხობელები მას „სიცოცხლის ბიჭს“ ეძახიან და მინდა დაჩის მსგავსად გადარჩენილ ბიჭებს, თითოეულ ხობელს ამ ტკივილთან შეზავებული გულისთქმით მივულოცო 12 აგვისტო ერისკაცისა და წმინდანის დღე „ცოტნეობა“ და ვუსურვო, რომ არ დასჭირვებოდეს ცოტნეს ნაოცნებარ საქართველოს ამგვარი მსხვერპლი, ისე აღდგენილიყოს ჩვენი მამული, როგორზედაც იმ შორეულ წარსულში ცოტნე დადიანი ოცნებობდა და რომელი ოცნებითაც აღესრულნენ აგვისტოს გმირები, რომელი ოცნებითაც ცხოვრობენ დაჩი ხურცილავა და მისი თაობაა.

გვახსოვდეს! თავისუფლება, სწორედ თავგანწირულთა, მოწამეთა და მამულიშვილთა სიცოცხლის ფასად მოვიდა.

**იგორ ტყებუჩავა,**
**ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი.**

## „ღიმილის ბიჭი“



2008 წლის 7-მა აგვისტომ ქართული საზოგადოების ცნობიერება ორად გაყო–ომამდე და ომის შემდეგ. უთანასწორო ბრძოლას ასობით ჯარისკაცი და მშვიდობიანი ადამიანი შეეწირა და უამრავი დღესაც დევნილობაში ატარებს სიცოცხლეს. ომი, რომელმაც მსოფლიო შესძრა, ომი, რომელმაც სამუდამო დაღი დაასვა საქართველოს... თითოეული წვეთი სისხლი, თითოეული დაღუპული ჯარისკაცი თუ მშვიდობიანი მოქალაქე ქართული სახელმწიფოსათვის უზომო დანაკლისია.

ხობიდანაც პირველივე დაძახილზე წავიდნენ რჩეული პირტიტველა ბიჭები. განგებამ მათ, მისიად სამშობლოს დაცვა დააკისრა...

„სამშობლო მეძახის“ ამ სიტყვებით გამოემშვიდობა მიშიკო იოსავა თავისი ოჯახის წევრებს, გავიდა და...

თვითმფრინავების შემაშფოთებელი ხმები, უბედურების მომასწავლებელი გმინვა, წამით თითქოს სუნთქვაც კი შეიკრა, რამეთუ თითოეულ ჩვენთაგანს ახლობელი იქ გვეგულებოდა. წამსვე გავრცელდა ხმა, სენაკის სამხედრო ბაზა დაიბომბაო, ყველამ გეზი სენაკისაკენ აიღო, იქ მისულთ ახალგაზრდა პირტიტველა ბიჭების სასაკლაო დახვდათ. ყველა თავის მზეჭაბუკს ეძებდა... დაღუპულთა შორის იყო მიშიკო იოსავა, ის 1986 წლის 23 ნოემბერს, გიორგობას დაიბადა, პატარა თანატოლებისაგან თავისი სილამაზით გამორჩეული, საბავშვო ბაღში დადიოდა, შემდეგ იყო სკოლის წლები, სტუდენტობა, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ფიქრობდა კარგ სამსახურსაც მალე დავიწყებო, მაგრამ ვაი, რომ არ დასცალდა. მისი სახელის გახსენება ჩემთვის დიდ ტკივილთან ასოცირდება–მიშიკო დიდრონი ცისფერი თვალებით მუდამ ღიმილიანი, თავაზიანი და მოსიყვარულე. მე მას თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი. ჩემს მეზობლად მყოფ, გასაჭირში ჩავარდნილი ბებია-ბაბუას წუთით არ ტოვებდა, შვილის დაკარგვით გამოწვეული ნაიარევის მოშუშებას ლამობდა. აკი თავად გახდა შემდეგში მათთვის დიდი და მოუშუშებელი ტკივილი. ქუჩაში, სახლის წინ, სახელდახელოდ გაკეთებული სკამზე ჩამოჯდებოდა, შემოიკრებდა „ქუჩის ბავშვებს“ და უყვებოდა ამბებს. ხშირად გავხუმრებივარ, რას უყვები მიშო ასეთს, ბავშვები თვალდაჭყეტილი რომ გიყურებენ მეთქი. დიდთან დიდი იყო და პატარასთან პატარა, ამიტომაც იყო მისი წასვლით ყველას ერთნაირად, რომ დაგვწყვიტა გული.

მიშო, ჩემო პატარა მეგობარო! მჯერა, რომ იქ, მიღმურ სამყაროში, შენი წილი ადგილი უკვე დაიმკვიდრე. შენი მშობლების და საყვარელი ადამიანების ლოცვა გაგინათებს გზას მარადიულ სასუფეველში. ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

***ნინო გერგაია***

## მისი სახელი „გმირის“ სინონიმია



**ლევან ტურავა**–სხვათაგან განსხვავებით მზრუნველი მეუღლე და ქალ-ვაჟის მამა, მხოლოდ 23 წლის იყო. ხეთის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის ჰუმანიტარულ-ტექნიკურ უნივერსიტეტში. ომის პერიოდში მუშაობდა ქ. ფოთში საზღვაო ნავსადგურში მემანქანედ.

უმამოდ გაზრდილს ორი დის ერთადერთ ძმას სხვათა მზრუნველობა, ერთგულება, თანადგომა და უანგარო მეგობრობა ცხოვრების წესად ჰქონდა გადაქცეული.

ლაღსა და ხალისიანს მუდამ სადღაც მიეჩქარებოდა, უნდოდა ყველაფერი მოესწრო...

ფოთის ნავსადგურის დაბომბვისას გარდაიცვალა, წავიდა და თან გაიყოლა მეგობრების, ხეთელი მეზობლების, ახლობლების უდიდესი სიყვარული, დატოვა უდიდესი სიცარიელე, სევდა, ტკივილი, სიამაყე–მისი კაცურკაცობის, სიდარბაისლის გამო. შვილებს დარჩათ სახელოვანი მამიშვილობის დიდი ტვირთი, რომელსაც ისევ მამა შეუმსუბუქებს სიცოცხლეში დამსახურებული სიკეთითა და სინდისიერებით...

სამი წელია სევდაჩამდგარა მის კარ-მიდამოში. სამი წელია ცრემლშეუმშრალნი არიან მისი ოჯახის წევრები... ლევან ტურავას სახელი კი გმირის სინონიმი გამხდარა...

**ნანა კემულარია**

## ...მხოლოდ მისი ნივთები დარჩათ რელიქვიად



**ლევან ჭოჭუა** თავის და ლიკასთან ერთად ოჯახის დიდი და სათაყვანო არსება იყო. მშობლებმა ისინი სკოლაში ერთად შეიყვანეს მიუხედავად იმისა, ლევანი ერთი წლით უმცროსი იყო. წერა-კითხვა 5 წლისას თვითონ უსწავლია. 6 წლის „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობდაო,–გამიგონია.

ეს პერიოდი სამოქალაქო ომს დაემთხვა, ისინი სენაკში ცხოვრობდნენ, მაგრამ დრომ მოიტანა და ხობში სოფელ ქარიატაში ბაბუა-ბებიის ოჯახში დაიდეს ბინა. ბავშვები სკოლაშიც იქ დადიოდნენ. სკოლის დამთავრების შემდეგ და-ძმა მოსკოვს გაემგზავრა და უნივერსიტეტში ჩაირიცხნენ. ორი წლის შემდეგ თბილისში დაბრუნდნენ და სწავლა ტექნიკურ უნივერსიტეტში გააგრძელეს. ბაკალავრის კურსის დასრულების შემდეგ ლევან ჭოჭუა მაგისტრატურაში სწავლობდა... თან საქართველოს ბანკის დიდუბის ფილიალში მიკროდაფინანსების საკრედიტო ექსპერტად მუშაობდა.

ნიჭიერი ახალგაზრდა დროს არ კარგავდა სწავლის პარალელურად ჟურნალ „ტრანსპორტში“ აქვეყნებდა სამეცნიერო სტატიებს. დედამისის ნაამბობიდან ვიცი, დოქტორანტურისთვისაც ემზადებოდა. მშობლები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ შვილებს ესწავლათ და საუკეთესონი ყოფილიყვნენ.

22 წლის ლევანმა ბევრი რამ მოასწრო. ბევრი ოცნება და სურვილი კი ვერ განახორციელა, ვერ აისრულა. განა ასე უნდოდა? განა ამისთვის შრომობდა? მაგრამ... არ ვიცი რა ვუწოდო იმ საშინელებას, რაც მის ოჯახს გადახდა... ის მეომარი კი არა, რეზერვისტი იყო, იგი ნიჭიერი და შრომისმოყვარე ბიჭი გახლდათ, რომელიც ყველაფერს ასწრებდა. უნდოდა წარმატებული ყოფილიყო. მშობლების სურვილს, საზღვარგარეთ ესწავლა, ლევანი არ ეთანხმდებოდა. მას თბილისი მოსწონდა და უნდოდა ბინა სამუდამოდ იქ დაედო.

ლევანი რეზერვში პირველად 2007 წელს 18 დღით დამოიძახეს, 2008 წელს ზაფხულში–8 დღით, მესამედ–8 აგვისტოს, როცა ჯერ კიდევ არ იყო გათენებული... თბილისიდან სენაკში სამხედრო ბაზაში მომავალმა გზადაგზა ნახა დაბომბილი გორის ბაზა–იქ ნამდვილი ომიაო,–ურეკავდა დედას, შემდეგ სოფელშიც ჩამოაღწია. დედ-მამამ თავად მიაცილეს სენაკში–სამხედრო ნაწილში... შემდეგ დატრიალდა საშინელება, საზარელი დღე გაუთენდა სრულიად საქართველოს... ლამაზი ბიჭი სრულიად შეცვლილი მშობლებმა პროზექტურაში იპოვნეს. მან ალბათ იმის გააზრებაც ვერ მოასწრო, რომ გარდაიცვალა. სენაკში იმ რწმენით მივიდა, რომ სამშობლოს დაიცავდა.

უკან დარჩა განვლილი ლამაზი წლები, სკოლა, მოსკოვი... თბილისში სწავლა, სამსახური, მზადება მაღალი საფეხურების გასავლელად, დანიშნული გულისწორი, დიდი და ლამაზი სიყვარული, მომავალი, ლამაზი მომავალი, რომელიც ოცნებაში ესახებოდა.

სენაკში დაბადებულ ლევანის, გარდაცვალებამ სენაკში მოუწია. ესეც ბედისწერაა ალბათ. ის ქარიატაში დაიკრძალა, მაგრამ მშობლებმა იცოდნენ, რომ მისი ოცნების ქალაქი თბილისი იყო და სამუდამო განსასვენებელი თბილისში მოუწყვეს. მათ კი დარჩათ ლევანის დიპლომი, ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, მედალი „მხედრული მამაცობისათვის“, რომელიც გარდაცვალების შემდეგ გადაეცა. მისი სხვა ნივთები... როგორც ჭოჭუების ოჯახის უდიდესი რელიქვია. მშობლებს კი ასევე ძალიან სევდიანი ცხოვრება, მტკივანი გული და რწმენა იმისა, რომ თავიანთი შვილი ღმერთის სიახლოვესაა, რომ მას დავიწყება არ უწერია.

***ნანი კილასონია.***

## აგვისტოს ომის ექო

**ნიკა ლიჩელი**

### არ დამიბინდდეო, მზეო მამულისა!

ღამეა ქუში და დარდიანი
რას ფიქრობს ზღურბლს
მდგარი-დადიანი,
მამულის სამსხვერპლოდ
წარმავალის,
სად-დისო ფიქრები ნაბდიანის.

და რომ არ წავიდეს, არც არვინ
დამრახავს,
მას ბრძოლა სხვა დროსაც
მალუმს,
მომავლის ქართველთა,
ხატად და სიწმინდედ
ცოტნე ამ ზღურბლს ტოვებს
ფარულ..

სადაც დგას მლოცველად
მონასტერი,
ხობისწყლის სანახებს
გასცქერის,
მერმე ისტორიას გზა ახსოვს
ეკლიანი,
სანთლებს ცრემლით ანთებს
მნათე.

ღამე კვლავ დამდგარა
დარდიანი,
აგვისტოს უძილო ღამე.
ცას წყდება ვარსკვლავი,
მთვარის ნიშნით,
იმ ღამეს მას ვერვინ ამჩნევს.

გუშაგს ხობისწყლის პირს,
ღალატით გვიკლავენ,
ცოტნე ღალატის წილ მიდის,
ცხრა „ცოტნე“ მონასტერს
კვლავ
გახედავს
და ესმის ხობისწყლის ფიქრი.

„ნუ მიხვალ“-ამოთქვა
საწყალობლად,
გულმა, ცხრა “ცოტნეს“ დედის
და გადაფურცლა-
ჟამთააღმწერელმან,,
შვილების ბედისწერის წიგნი.

ამ ზღურბლზე დამდგარი ჰეი,
თავისუფლებავ,
თავის უფლებისთვის მიდის,
და სული მამულსო!-ხორციელ
სიკვდილით
მტერთა დამთრგუნველი ფიცი.

მონასტერს დადიანთა
საძვალეა,
ცხრა „ცოტნე“ ცხრა სანთელს
გვინთებს,
არ დამიბინდდეთ, მზეო,
მამულისა,
დღეო მამულისა გვიძეხ!.

უნდა დავიჩოქოთ- აგვისტოს
ტკივილი
„ცხრა ცოტნეს“ ნაბიჯით მიდის.
რიალებს, მამულის სამანზე
მსუნთქავი
და გამთენებული ბნელის,
თავისუფლება, შენ
თავისუფლება-
ცოტნეთა სიცოცხლით გულის.

*ხობი 2008-2011. აგვისტო*

# „ნეტავ ღირსეულ მტერს მოვეკალი, არ გამყვებოდა დარდი ამხელა!“

აგვისტოს ომის ექო

## რჩეული, რჩეულთა შორის

ადრიანი შემოდგომის თბილი დილის სიმყუდროვეს, ორღობეში სწრაფი სიჩქარით მიმავალი საპატრულო პოლიციის მანქანის ღმუილი არღვევდა. სოფლის ოღრო-ჩოღრო გზებზე ზოგჯერ ისე შეინჯღრეოდა, შიგ მჯდომებს გულ-მუცელს უნგრევდა. გარინდული იყო სოფელი, ხმას არ იღებდნენ მანქანაში



მსხდომი პოლიციელები, რომელთაც ხელში შემართული ავტომატები ეჭირათ. მოსახვევში მანქანამ მკვეთრად დაამუხრუჭა, მძღოლმა თავი ოდნავ მოაბრუნა და კბილებში გამოცრა–მოვედით, იქით მანქანით წასვლა არ შეიძლებაო. ბიჭებმა ფრთხილად გააღეს მანქანის კარები, ზურგზე ტყვია-წამლითა და სანოვაგით სავსე ჩანთები მოიგდეს, ხელში შემართული ავტომატები დაიჭირეს და გზა ფეხით განაგრძეს, აქ მათ დაღლილი ღამისთევისაგან თვალებშეწითლებული ამხანაგები უნდა შეეცვალათ...

ყველანი დახვეწილი, რჩეული აღნაგობის პოლიციელები იყვნენ, მაგრამ მათგან ერთ-ერთი მაინც გამოირჩეოდა, ეს რამაზ კიტია გახლდათ. ეტყობოდა ბედიც გამორჩეული ქონდა... მალე საგუშაგოს მიუახლოვდნენ. გაისმა ნელი სტვენა და საიდუმლო შეძახილი, დამხვდურები მოსულთ დაემშვიდობნენ და მშვიდობიანი დღე უსურვეს. საგუშაგოს სოფლის გლეხკაცის ნალოლიავები თხილნარი ესაზღვრებოდა. ხშირად ამ თხილნარს ბიჭები თავდაცვისათვის იყენებდნენ, ზოგჯერ ისვენებდნენ კიდეც, აქედან კარგად ჩანდა გაღმა ნაპირი, სადაც ახლა სხვისი წაქეზებით მტრადქცეული მოყვასი ბორგავდა.

ახლაც წელში ოდნავ მოხრილებმა თხილნარს მიაშურეს, რათა კარგად დაეზვერათ მოშურნე მტერი. რჩეული ბიჭი ჩაიმუხლა გაღმა დაიწყო თვალთვალი, კარგად ჩანდა საგუშაგოზე თუ როგორ მიდი-მოდიოდნენ კბილებამდე შეიარაღებული სხვა ქვეყნის ჯარისკაცები. უეცარმა ფიქრებმა გაიტაცა: რატომ და რისთვის მოკვეთეს ამორძალივით საქართველოს მისი ძირძველი მიწა, რატომ და რისთვის მიისაკუთრეს დიოსკურია, ამ მიწასთან მას ხომ მისი სტუდენტური წლები აკავშირებს. რამაზის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია–გეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტს პროფესორ-მასწავლებლები სითბოთი და სიყვარულით ასწავლიდნენ საქართველოს ისტორიას და გეოგრაფიას, ჰყავდა აფხაზი მეგობრებიც, მაგრამ რა გამოვიდა, სოხუმის დაცემასთან ერთად, როგორც ყველამ, მანაც დატოვა სოხუმი და ჯერ კიდევ, პატარა ბიჭმა დიდი ტანჯვაწამებით ჩამოაღწია სამშვიდობოს. სწავლა მაინც გააგრძელა, მეორე ფაკულტეტი–სამართალმცოდნეობაც დაამთავრა, ახლა კი პოლიციის ოფიცერი ქვეყნის სადარაჯოზეა, მამამისი წამოწყებული უთავბოლო ომის მსხვერპლი გახდა, მამა, რომელიც დედაქალაქიდან სახლში მომავალი, უდანაშაულო მგზავრი, მტრის თვითმფრინავიდან ნასროლმა ტყვიამ განგმირა. მას შემდეგ მხოლოდ ორმოცი დღე იყო გასული.

მტრის საგუშაგოზე რაღაც შფოთი და არეულობა შეიმჩნეოდა, რამაზი შეცბა, ეს კარგს არაფერს მოასწავებსო, ჩაიმუხლა და თვალთვალი განაგრძო. ბიჭები დაიძაბნენ, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდნენ, უცებ საშინელი ტკივილი იგრძნო, მოცელილივით დაეცა, რაღაც თბილმა დაუსველა სხეული, ხელი მოისვა, სისხლი იყო, მიხვდა დაჭრეს. ზურგიდან ესროლეს, მხოლოდ ზურგიდან ნასროლი ტყვიაღა თუ დააჩოქებდა მას... ნეტა ვინ ესროლა, იქნებ იქ დარჩენილმა აფხაზმა მეგობარმა, ან იქნებ ცივი ქვეყნიდან ჩამოსულმა ცივგულა ჯარისკაცმა... არ შედრკნენ ბიჭები, არ შეუშინდნენ მომხვდურს, საპასუხო სროლით გაისტუმრეს ისინი. ახლა მათი მთავარი საზრუნავი დაჭრილის გაყვანა და მისი საავადმყოფოში მოთავსება იყო. ეხვეწებოდნენ რამაზს, არ დანებდე სიკვდილს, არ გაჯობოსო. ამ ჭიდილში ის არც აპირებდა დანებებას. თვალწინ თავისი რამდენიმე თვის ტყუპები წარმოუდგა, ერთს სულ ბაბუას რომ ამსგავსებდნენ, მეორეს კი მამას. თვალთ დაუბნელდა, ველარაფერს ამჩნევდა, მხოლოდ მამამისი დაინახა თხილნარში. აჩქარებით მისკენ მომავალი, თვალებიდან ცრემლების ნიაღვარი მოსდიოდა და დაჭრილს ასველებდა, დაიხარა და როგორც ვაჟკაცებს ჩვევიათ, მხარზე აკოცა. დაჭრილს ტკივილმა გაუარა, საოცარი სიმსუბუქე იგრძნო მთელს სხეულში. მამის გამოწვდილ ხელს ხელი ჩასჭიდა და ორივემ ნელ-ნელა დაიწყეს ფრენა.

რჩეულ ბიჭს, ბედიც რჩეული ჰქონია თურმე, პოლიციის ოფიცერი საქართველოსთვის ბრძოლაში უნდა დაღუპულიყო, ტყუპებს კი გმირი მამით უნდა ეამაყათ.

***ბაკურ ლაშხია,***
***ახალი ხიბულის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე***

## გმირულად დაცემული რაინდი



როცა ჩემს თანასოფლელზე, ჩემს სისხლსა და ხორცზე ვწერ, მგოსნის ერთი სტრიქონი მახსენდება:

„ჰეი, თქვენ არაგველებო,
გაუმაძღარნო, ომითა
თქვენს საფლავებზე მოსვლა და
მუხლის მოდრეკა მომინდა!“

2008 წელი... 9 აგვისტო...

გოგა ბერაია...

საფლავზე დაჩოქილი მეგობრები, მეზობლები, ახლობვლები... გმირულად დაცემული რაინდი...

ტკივილი, მოუშუშებელი იარა, მწუხარება, ცრემლები...

2011 წელი, 9 აგვისტო...

რა სწრაფად გაირბინა მწუხარებით სავსე სამმა წელმა, იმ ავადსახსენებელი დღიდან, ჩემო გოგა, მეხის გავარდნას გავდა შენი სიკვდილი...

ახლა ზაფხულია და... როგორ აკლიხარ შენს საფიცარ ხორგას, მეზობლებს, მეგობრებს, „ხობისწყალს“, რომელიც ძალიან გიყვარდა. შეუვსებელი აღმოჩნდა შენეული ადგილი ჩვენს გულში და რაც უფრო დიდი დრო გადის, მით უფრო ძლიერდება მონატრება. თითქმის ყოველდღე მოვდივართ შენს საფლავზე და ამით ვიხდით მეზობლურ თუ მეგობრულ ვალს შენს წინაშე, ჩემო გოგა, შენი მეგობრები დღესაც მეგობრობენ შენს ერთადერთ ძმა გიორგისთან, შენს მშობლებთან და ცოტათი მაინც უმსუბუქდებათ უშენობის ტკივილი.

ერთი რამ კარგად ვიცი–ბერაიების ოჯახი, იმ წმინდა და გმირულ ოჯახთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც საკუთარი შვილის სიცოცხლის ფასად დაიცვეს ერისა და მამულის თავისუფლება. დარწმუნებული ვარ, მადლიერი ერი არასოდეს დაივიწყებს გოგა ბერაიას თავგანწირვას.

***ნაირა ბერაია.***



ინტერნეტიდან

# „ცა არის სავსე დღეს შფეხო ანგელოზებით“

(რეზერვისტის ჩანაწერები)



ვზივარ გორის კულტურის სახლში, ბნელ დარბაზში. გარეთ შორს იბომბება იდუმალი ადგილები, უცნობი ხალხით და აფეთქების ნათება აღწევს ჩვენამდე, დარბაზის უზარმაზარ, ადგილ-ადგილ ჩალეწილ ფანჯრებში. ჯარისკაცები კედლებზე ზურგმიყრდნობილნი სხედან. ახალი ბატალიონის ნაწილი შემოიყვანეს. 9 აგვისტო ხდება. დარბაზი თანდათან ივსება. ქალაქიც სავსეა. ძინავთ ყველგან, ბარდიურებზე, ძეგლთან, ხეებთან, შადრევანთან. აქ ავტობუსებით ჩამოგვიყვანეს. დავდიოდი ქალაქში მიყრილ ჯარისკაცებში, ვეძებდი მეგობრებს ჩემი ბატალიონიდან, მაგრამ ვერავინ ვერ ვნახე. ჯარისკაცების სახეები სიბნელეში არ ჩანს. ისე არც დღე ჩანს მათი სახეები. საიდანღაც ორი ჰიპი გამოჩნდა, არ ვიცი აქ საიდან გაჩნდნენ. ისე სწრაფად გაგვეცალნენ რომ ვერ მოვესწარი გამოლაპარაკება. დარაჯს ვკითხე რა შენობაა და კულტურის სახლიაო. არ ვიცი რა გველის ხვალ. დაუბომბავთ ფოთი, ჩემი ჩუმი და წყნარი ქალაქი. მოხუცი ველოსიპედისტების მშვიდი მიმოსვლა დაარღვია, ce 24-ის შიშინმა და აფეთქებებმა. დაუბომბავთ სენაკი, ზუგდიდი, გორი, კიდევ რაჭა, ალბათ ჩემი ნათესავები ხის რიკულებიანი აივნებიდან ხედავდნენ, როგორ მოფრინავდნენ ბომდამშენები და ანათებდნენ თოვლიან მთებსა და ტყეებს. ნამეხარი კაკლის ხეები კი ახლა მილიტარისტულ მონსტრებს უშლიდნენ გულ-მკერდს. ერთი ჯარისკაცი ამბობდა: ძალიან უპატრონოდ ვართო. ისე მართალია. ათას ჭორს და სიმართლეს ამბობენ. დავიძინებ ახლა. მაგრამ თანდათან ემატებიან ოცეულები, მძიმე ბატინკების ხმით, ჩემი დახუჭული თვალებით შემოსაზღვრულ სიფხიზლეში იჭრება მათი ჩუმი ლაპარაკი. ვერ ვიძინებ. გამოვდივარ გარეთ. დავხეტიალობ დერეფნებში. მერე აივანზე ვზივარ. ჩანს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა.

არადა რას წარმოვიდგენდი, ორი დღის წინ ნუნისში, როცა ჟინჟლავდა, ვსვამდით არაყს, ხის ქვეშ ვიჯექი, გავყურებდი ხეობას, ვკითხულობდი ჰენრი მილერის ბიგ-სურს და ლევანი მეუბნებოდა, რომ შენს შვილებს აუცილებლად უყიდე კალეიდოსკოპი, მეც და სანდრასაც გვქონდაო ბავშვობაში. ამას იმიტომ მეუბნებოდა, რომ ვუთხარი შენი და სანდრასნაირი შვილები მინდა მყავდეს-მეთქი. მიყვებოდა, რომ ყველაზე სასიამოვნოდ გაეღვიძა კიკეთში, ვიწრო, დამტვრეულ, იმ მომენტში კი ყველაზე მოსახერხებელ დივანზე, როცა ეძინა სანდრასთან ერთად. მთელი ღამე ეფერებოდა, უყურებდა სახეზე, თითქოს სწავლობდა, დილას კი მზის ამოსვლასთან ერთად მისი ღიმილი მიიღო, მიიღო და შეიყვარა, დაიმახსოვრა სამუდამოდ. „ღამე ერთხელ გაახილა თვალები, მკითხა“ „ვითომ რაო“ და ისევ დახუჭა.“ აგრძელებდა ლევანი.

ახლა კი აქ ვზივარ. ჩემგან რამოდენიმე კილომეტრში მიდის ბრძოლები. არ ვიცი რა იქნება ხვალ. ავტობუსში ერთი ყვებოდა, როგორ გაუჩერა ტაქსმა, გზაში იტირა და ბოლოს აჩუქა ღვთისმშობლის ხატი, ლამის მეც ამატირაო, 30 წლის ბიჭი იქნებოდა, ძველბიჭური, მაგრამ სევდიანი საუბრით. ჩემთან ერთად წამომსვლელთა მშობლები ავტობუსებთან იდგნენ. ერთის დედა ისე ცხარედ ტიროდა, გოგო კი ამშვიდებდა. მე არც კი შემეძლო რამე წარმომედგინა. ვიცოდი, რომ ერთი ხელისგულის ტოლი მიწის მოსახლეობა შეუიარაღებლად დავპირისპირდით. რუსეთი ჩაერია და გვბომბავს. ერთადერთი ეს კონფრონტაცია მას აძლევს ხელს. ეს ტერიტორია საუკუნებია ჩემი ქვეყანაა, კონფლიქტის შემდეგაც კი ვერ აღვიქვამდი, რაღაც ცალკე ერთეულად, რა სამხრეთ ოსეთი, ასეთი რამე არც არსებობს. ისე, რაც უნდა ის დაარქვან, მე მაინც ვერავინ დამიშლის იქ ჩასვლას. ერთხელ რაჭიდან გადავედი ფეხით, ერთი ნათლიაც ოსი მყავს. ამ ზაფხულსაც ყელის ტბაზე ვაპირებდი ასვლას. ვერც კი წარმომიდგენია, როგორ უნდა გაჩაღდეს ომი, თან თუ აფხაზეთის და იგივე სამაჩაბლოს წარსულ გამოცდილებას გავითვალისწინებთ. არადა გაცილებისას ტიროდნენ, გვლოცავდნენ, უკვე მსხვერპლიც არისო აშკარად. უბრალოდ, არ მინდა დავიჯერო, ის რომ ომი უკვე მიმდინარეობს. დავბრუნდი დარბაზში. მივაწექი ჩემს ზურგჩანთას. დარბაზის კედლებზე წარწერებია. მე სოფოს ქვეშ მძინავს. კიდევ სუხიშვილების დაგლეჯილი პლაკატია გაკრული. თავი ავტომატის გაჭედილ მჭიდებზე მიდევს. არ ვიცი რა იქნება ხვალ, სად წავალთ, ჩავებმებით ბრძოლაში თუ არა. არ ვიცი, სად გაყვება ამ 120 ტყვიას ჩემი სიზმრები, ვის მიუტანს მათ, ან ვის დააძინებს ისეთი ძილით, რომ მას ჩემი სიზმრები, ჩემი მეორადი მოხმარების სიზმრები არაფერშიც არ დასჭირდება. გათენდა, საათს დავხედე, 8-ის ნახევარია. სამი საათიც არ მეძინა. ეზო თანდათან ივსება რეზერვისტებით. ვიყურები გარეთ. მთელი ეზო სავსეა. უცბად გაისმა საზარელი ხმა, შიშინის, გრუხუნის. დავინახე, როგორ გაიფანტნენ ეზოში ჯარისკაცები, რა ხდება, დაგვარტყეს, ჩამოვარდა, დაგვბომბეს, ზრიალითმსხვრევით წამოვიდნენ მთელი მინები. გავრბივართ დარბაზის მეორე მხარეს. წამი-წამზე ველით, რომ ჭერი თავზე ჩამოგვექცევა, კიდევ დაგვარტყამენ. ისმის ყვირილი, ვიღაც კითხულობს, ხომ არ დაშავდა ვინმე? ვიგინებით, პანიკის გარეშე, გარეთ გავდივართ.

გამოვრბივართ. გორი იბომბება. თვითმფრინავი ჩამოაგდეს. მაგრამ დაბომბვა გრძელდება. შევდივარ სადარბაზოში, სადაც რამოდენიმე ჯარისკაცი და დედა თავისი შვილებით შეყუჟულა, ისინი ელიან ოდნავ ჩაწყნარდეს ცა, რომ თბილისისკენ წამოვიდნენ. ბავშვს ალექსი ქვია, ჩემი სეხნიაა. ვეფერები, ის კი შეშინებულ თვალებს აბრიალებს. მინდა ვუთხრა, პატარა „მალე ქვეყანა დაწყნარდება და ის ცხოვრება დაიწყება შოკოლადის სურნელიან წიგნებში და ჟურნალებში, მოციმციმე ეკრანებზე, რომ არის აღწერილი. ნუ გეშინია, ვიცი არ წარმოგიდგენია თავი ჩემს ადგილას, მაგრამ ხომ გინდა ახლა ესე გეცვას და შენც ავტომატით იდგე, არც მე მეგონა ბავშვობაში თუ ოდესმე ვიომებდი, უბრალოდ, იმდენად ხშირად წარმოვიდგენდი თავს მეომრად, რომ ამიხდა. არ ვიცი რა მოხდება ხვალ. ყველაფრისთვის მზად ვარ.

**იბეჭდება შემოკლებით**



**ის ჯერ ძალიან ახალგაზრდაა იმ მიღწევებისათვის, რაც მოდის სამყაროში შექმნა. თავისთავად და ორიგინალურ კოლექციებში კარგად ჩანს მხოლოდ მისთვის მახასიათებელი დეტალები, შტრიხები. ის ჰქმნის ტრადიციულობასა და თანამედროვეობას შორის ოქროს შუალედში საპატიო ადგილზე დამკვიდრებულ ბუნებრივ ერთობლიობას, სადაც შეგიძლიათ გაიცნოთ და დაინახოთ დიზაინერი ლაკო ბუკია.**

**ყველაფერი კი მიბაძვით დაიწყო ლაკო ჯერ საკუთარ დას, ნათიას ბაძავდა, რომელმაც საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა მისი სწავლისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. დიზაინერობის სურვილიც კი ნათიასგან ისწავლა, რადგან ის ბავშვობაში მთელი გატაცებით ხატავდა და ოცნებობდა დიზაინერი გამხდარიყო, მაგრამ ეს ოცნება უმცროს დას „აჩუქა“ და თავად ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში გადაინაცვლა. ამ სფეროში ნათია ერთეულთათვის მახასიათებელი ნიჭიერებით აგრძელებს მოღვაწეობას. მოდის ასპარეზზე კი სვლა ლაკომ დაიწყო და დაიწყო არა მიბაძვით, არამედ საკუთარი სტილით, ხედვითა და მსოფლმხედველობით. მასზე წერენ მსოფლიოს სერიოზული გამოცემები უცხოეთსა თუ საქართველოში.**

## ახალგაზრდა დიზაინერის გზა, ქართული თემით ინსპირირებული ხელოვნება, თანამედროვეობა, რეალობა და ტრადიცია, რომელსაც სექტემბერში ნიუ_იორკი, საქართველოში კი ხობი უმასპინძლებს

**როგორ შედგა და როგორ იზრდება მისი კარიერა და როგორ ავითარებს საკუთარ ორიგინალურ იდეებს ამ სამყაროში, როგორ ჩამოყალიბდა ახალი ბრენდი და რას ფიქრობს ლაკოს წარმატებებზე, მისი პროფესიის „ფუძემდებელი“ ნათია ბუკია და არა მხოლოდ ნათია, ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული ნამდვილად არ იქნება.**

**ნათია:** მახსოვს ბავშვობაში სულ გოგონებს ვხატავდი და ვმოსავდი. ლაკო სულ მბაძავდა და ხშირად ვეუბნებოდი, რომ თავისი ნახატი თვითონ შეემოსა, ანუ ჩემი ნახატისთვის არ მიებაძა. მერე ნელ–ნელა საკუთარ შედევრებს მაჩვენებდა, მაგრამ მაშინ არასოდეს უთქვამს, რომ დიზაინერობას აირჩევდა. ამას უფრო მე გამოვხატავდი. ლაკომ შემდგომ თავად გააკეთა არჩევანი და ვფიქრობ, საკმაოდ სწორი. ჩვენ, მშობლები მაქსიმალურად გვაჩვევდნენ თავისუფლებასა და ტრადიციულობას, დამოუკიდებლობასა და ღირებული აზრების გათვალისწინებას შვილებმა კი ასე ვიპოვეთ საკუთარი თავი. ჩემი პირველი სიხარული ლაკოს წარმატებებია, ისე, როგორც მისთვის, ჩემი. ერთი პერიოდი მე ვიყავი მისი პირველი შემფასებელი და მაქსიმალურად ვცდილობდი შეფასებები გამეკეთებინა, არა როგორც დას, არამედ, როგორც „სხვას“, ეს იმისათვის, რომ რეალურად, ჯანსაღად მიმეთითებინა ლაკოსათვის, მაგრამ ეს უფრო ბავშვობაში. ამიტომ ახლა, უკვე მე „პატარა“ ვარ იმისათვის, რომ მოდის სფეროში რამე მივუთითო, იმდენად გაიზარდა ლაკო როგორც დიზაინერი და შემოქმედი, რაც შეეხება ეკონომიკისა და ბიზნესს ამ მხრივ უღალატო პარტნიორად გამოვადგები. ზოგჯერ სერიოზულად მეუბნება, მართლა ყველაფერი მოგწონს? ერთი სიტყვით მე უკვე მომწონს დიზაინერი ლაკო ბუკია და კრიტიკოსობა ნებაყოფლობით გადავულოცე ცნობილ მოდის კრიტიკოსებს. მუდმივად ვეცნობი მათ რეცენზიებს და ეს კიდევ ერთხელ მაძლევს საფუძველს იმისას, რომ ლაკო არ შემცდარა თავის არჩევანში.

ლაკო: **ჩემი პირველი ხატვის მასწავლებელი ნათიაა. ეს ისე, ხუმრობით. სწავლა კი ჯერ თბილისის სამხატვრო აკადემიაში, შემდგომ ლონდონში განვაგრძე, სადაც საკუთარი თავი ვიპოვე და მივხვდი, რომ ზუსტად ეს მინდოდა.**

ლაკო ბუკია თვლის, რომ დიზაინი მხოლოდ ლამაზის შექმნას არ გულისხმობს. ის უნდა იყოს უცხო და თან მისაღები, უნდა ჰგავდეს დროს და იმ პერიოდს, როცა იქმნება და რა პერიოდსაც უჩევენებს დიზაინერი. ნებისმიერი კოლექცია უნდა ეყრდნობოდეს თემას, რომელსაც ისე განავრცობ, რასაც შინაგანი მე და ახალი იდეა გიკარნახებს,–ამბობს ის.

**ლაკო, რამდენად მისაღებია მოდის სამყაროსათვის მხოლოდ საკუთარ ფანტაზიაზე დაყრდნობა–ფანტაზიაზე, რომელიც ხელოვნების შედევრს ქმნის, თუ უფრო პრაქტიკულობისადმი იხრება?**

–ნებისმიერი დიზაინერი უნდა ფლობდეს ერთ ხაზს, სადაც ის იქნება, კრეატიული და თავისუფალი ამ სივრცეში, ხოლო მეორე, რომელიც საკუთარი ბრენდის განსავითარებლად, უფრო პრაქტიკული იქნება და შესაბამისად გაყიდვადი.

ლაკო ბუკიას თავისუფალმა სივრცემ კი სერიოზული სკოლა გამოიარა–საქართველო. სამხატვრო აკადემია. ინგლისი-„Central saint martins college of art & desing“ რომელსაც „სასწაულების სკოლას“ უწოდებს, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩასული უნიჭიერესი ახალგაზრდობას განვითარებისათვის იდეალური გარემო ხვდება.

შემდეგ, „ondon college of fashion“, ამის შემდეგ–იტალიაში მილანში გაიარა „arangoni“ ლაკოს აზრით, ლონდონი დიზაინს აღიქვამს, როგორც ხელოვნებას. იტალიაში კი განსაკუთრებული აქცენტი ბიზნესზე კეთდება, თანამშრომლობდა სამოდელო სახლთან „Laura Less“ სა და სტილისტ atieBurnett- თან. მას ერთხელ ბაიერმა „შიფონის ქალბატონი უწოდა“, რადგანაც ლაკო კოლექციებში აქტიურად იყენებს ამ ნაჭერს. რადგან თვლის, რომ ეს ჰაეროვანი ქსოვილი კოსტიუმს სინაზეს, ხოლო ქალს ქალურობას უნარჩუნებს. მიაჩნია, რომ მოდიდან არასოდეს გავა კლასიკა და კლასიკური ფერები შავი და თეთრი, ასევე კლასიკური ფორმები... ყველაზე ძვირფასი კი ლაკოსთვის ის პირველი კოლექციაა, რომელიც სამხატვრო აკადემიის დიპლომისათვის გააკეთა. ამბობს, რომ ამ კოლექციას, არასოდეს გაყიდის...

**როგორია ინგლისური პრესა?**

– თუ აქ დაიწუნეს პირველი კოლექცია, მეორე უკვე არავის აინტერესებს. აქედან გამომდინარე ინგლისი მხოლოდ პირველი შანსის სწორად გამოყენების შემთხვევაში გაღიარებს,–ამბობს დიზაინერი. ასეთ პირობებში ლონდონის მოდის კვირეულზე პირველად მან თემად კუბიზმი აირჩია, სადაც ორგანზის ქსოვილისა და შიფონისაგან შექმნა კოლექცია, რომელსაც ინგლისური პრესა მაღალი შეფასებით გამოეხმაურა, რადგან დიზაინერმა ამ კოსტიუმებში აჩვენა დასავლეთის დამოკიდებულება საბჭოთა სივრცის მიმართ. კუბიზმის პერიოდის მხატვრებისა და გეომეტრიული ფიგურების და შავ–თეთრი სხვადასხვა ქსოვილის სინთეზი უფრო ადრე, სწავლის პერიოდში დახვეწა.

ლაკო ამბობს, რომ ნებისმიერ ქვეყანაში აკვირდება და ეძებს იმ დეტალებს, რომელიც ამ ქვეყნის სახეს ქმნის. ეს საინტერესო პროცესია, ამიტომაც, მან უცხოელებს მიაწოდა ის უმთავრესი დეტალი, რაც საქართველოსათვისაა დამახასიათებელი.

ლაკოს მიერ მეორედ ლონდონის მოდის კვირეულზე, თანამედროვე კოსტიუმებში წარდგენილმა ქართული ჩოხების ტრანსფორმაციამ, საოცარი მოწონება დაიმსახურა. ლაკო თავად ანსამბლ „ერისიონში“ ცეკვავდა, მაგრამ ამბობს, რომ კოლექციაზე მუშაობისას კიდევ ერთხელ საფუძვლიანად შეისწავლა ქართული საცეკვაო კოსტიუმების თავისებურებანი, რამაც საოცარი ორიგინალურობა და ხიბლი შესძინა ახალ კოლექციას.

მისი მოდელები იბეჭდება „ვოგში“, სადაც „შანელისა“ და „პრადას“, „ფერაგამოსა“ და „დოლჩე გაბანას“ მოდელების გვერდით წაიკითხავთ „ლაკო ბუკიას“ და ეს ძალიან დიდი შრომის, უძილო ღამეების, ფიქრის შედეგია. რაც პრობლემებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად, მაინც შესძლო. ყოველთვის გრძნობდა ოჯახისა და მეგობრების თანადგომას, რაც თავისთავად დიდია, მაგრამ არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერზე „მწვანე შუქი აქვს ანთებული“. ლაკო ამ შუქს თავად ქმნის შრომისმოყვარეობასთან შეჯერებული ნიჭიერებითა და მიზანსწრაფულობით.

განსაკუთრებით აღნიშნავს მოდის კვირეულებამდე გასასვლელ გზას, რომელიც აპლიკაციის შევსებით იწყება, მერე იგზავნება ფოტოები, ბოლოს კოლექცია... და გულისფანცქალით ელოდება პასუხს. პასუხი დადებითია. „ეს გრძნობა მაინც განუმეორებელია,“–ამბობს ლაკო და წერს დღიურებს, რომლის წერასაც სენ მარტინის სასწავლებელში შეაჩვიეს, სადაც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებებს, ემოციებს იწერს და შემდეგ მხატვრულად აფორმებს.

ავთო ცქვიტინიძე ერთ ერთ ინტერვიუში ამბობს: „რომ ლაკო ახალი დიზაინერია, რომელიც თავს ძალიან სწორად იმკვიდრებს, ვთვლი, რომ მისი შემოსვლა საფუძვლიანია. მე წავიკითხე რეცენზიები, რომელიც მის ჩვენებებს მოყვა ლონდონში და აღფრთოვანებული ვარ.“

**სალომე ღვინიაშვილი:** „ლაკოს ინდივიდუალური და გამორჩეული გემოვნება აქვს. მე შევესწარი ლონდონის „ფეშენ ვიქზე“ როგორი აჟიოტაჟი მოყვა მის კოლექციას. ვფიქრობ, რომ ეს დამწყები დიზაინერისათვის ყველაზე საუკეთესო რამ არის. ძალიან ნიჭიერი ადამიანია და დიდი მომავალი აქვს.

ლაკომ თბილისში ფალიშვილის №39 წელს გახსნა საკუთარი ატელიე, რომელიც უკვე ქართველ მომხმარებელს მოემსახურება და მისი სამოსი გაცილებით ნაკლებ ფასად გაიყიდება, ვიდრე საზღვარგარეთ. **„st best" da fashion capital" –s** ონლაინ მაღაზიაში „www. youngbritishdesigners" .com. და www. notjustaldel.com ნიუ–იორკში, maRazia „eva-Si, საფრანგეთში-„Gyrielle boutique", თბილისში „flabour georgian designers"-ში სადაც წარმატებით იყიდება მისი ნამუშევრები..

ეს ლაკო ბუკიაა, რომელსაც უკვე ათი წელია კოჯორში თავისი ნატვრის ხე აქვს და ყოველ წელს ახალ სურვილს უთქვამს, რომელსაც განუსაზღვრელ სიმშვიდეს ანიჭებს ქართულ ეკლესია-მონასტრებში მოლოცვა. აგვისტოს ბოლოს ჩვენება ლონდონში გაიმართება, შემდგომ შოუ–რუმი ექნება პარიზსა და ნიუ–იორკში...

ახლახანს, ბატონ გოდერძი ბუკიას,რომელიც ხობელ სტუდენტებს შეხვდა პარლამენტში ერთმა სტუდენტმა ასეთი კითხვა დაუსვა, შესაძლებელია თუ არა ლაკო ბუკიამ ფესტივალის დღეებში ჩვენება გამართოს“. ლაკო ამბობს რომ ამ ეტაპზე, ეს შეუძლებელია, თან დასძენს, „ძალიან მიყვარს ხობი, ყოველთვის სულმოუთმენლად ველოდები სიახლეებს ხობიდან. ის ჩემი ფესვებია და ამიტომაც ხობისა და ხობელთა წარმატებები მიხარია და ტკივილი მტკივა. საერთოდ უდიდესი განცდა მქონდა 2008 წლის აგვისტოს დღეებში, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები, მათ შორის ხობელი ბიჭები შეეწირნენ. ვფიქრობ, ეს თემა- ომი და მშვიდობა, სამშობლო და თავგანწირვა–სამომავლოდ ჩემს კოლექციაში იქნება წარმოდგენილი და ჩემს ემოციებს ჩემივე ხელოვნებით გამოვხატავ.

რაც შეეხება ხობის ქართული (მეგრული) სიმღერების საერთაშორისო ფესტივალს „სიმღერა სამეგრელოზე“–ერთადერთი, რაზედაც სექტემბერში სიხარულთან ერთად გული მწყდება, ისაა, რომ ნიუ–იორკში დაგეგმილი „შოუ რუმის“ გამო ვერ დავესწრები მას და ასევე ფესტივალის დღეებში პირველი მაისის ხარების სახელობის სამონასტრო კომპლექსის გახსნას, რომელშიც მამამ უდიდესი ძალისხმევა ჩადო. ჩვენ იმ დღეებში ორი რამ გაგვაერთიანებს-ის, რაც მშობლებისაგან ვისწავლე,

**რომ ყველაფერს სამშობლოს სიყვარულით ვაკეთებთ. მე ჩემი ქვეყნიდან შორს, ჩემი ხელოვნებით ვიტყვი ჩემს სათქმელს. მამა კი ამ ფესტივალით უკვე მეხუთედ უჩვენებს მსოფლიოს, რა დიდი საგანძურის მფლობელები ვართ და კიდევ ახალ სალოცავი შეემატება ქართულ ეკლესია–მონასტრებს.**

**ასე რომ სექტემბერში, საქართველოში მეგრულ ფოლკლორზე შეყვარებული უამრავი შემსრულებელი ჩამოვა ხობში, აქ იქნება სიმღერა, აქ იქნება ლოცვა, რომელიც ახალ სამონასტრო კომპლექსში აღევლინება. სექტემბერში შორეულ ამერიკაში ჩვენთვის ძალიან მახლობელი ლაკო ბუკია ჩვენებას გამართავს, სადაც საოცარი ოსტატობით შერწყმულ ქართული თემების ინსპირირებით შექმნილ მოდელებთან ერთად, მისი ფანტაზიით შექმნილ უახლეს კოსტიუმებს წარადგენს და დარწმუნებული ვარ შეფასება დაახლოებით ასეთი იქნება:„ლაკო ბუკია–ქართველი დიზაინერის მითი და რეალობა'.'**











**როზეტა შულაია**

# დედაშვილური კავშირი



დედაშვილობა საოცარი ფენომენია. დედაშვილური კავშირი მძლეთამძლეა. როგორ მოვიქცეთ, რომ ის არასოდეს დაირღვეს? გაიხსენეთ, პატარას დაბადებისთანავე რა აზრმა გაგიელვათ გონებაში: „მადლობა ღმერთს, ყველაფერი დასრულდა!..“ მაგრამ შეცდით, ყველაფერი ახლა იწყება! იწყება სრულიად ახალი ცხოვრება - ცხოვრება შვილთან ერთად. ბავშვის სიცოცხლის პირველ დღეებში მთავარი ამოცანაა ძუძუთი კვება. დედის რძე–ეს არის ფასდაუდებელი საჩუქარი, უნიკალური საკვები და წამალი თქვენი პატარასთვის. კვების მთავარი წესი ასეთია: ბავშვს აჭამეთ, როცა უნდა და რამდენიც უნდა. რძის სიმცირის შემთხვევაში ბავშვი რაც შეიძლება ხშირად უნდა მიიწვინოთ მკერდზე, ისე, რომ ადვილად მისწვდეს ძუძუსთავს და მის ირგვლივ მდებარე არეს–ორეოლას.

„შეწყვიტეთ შფოთვა და დაიწყეთ ცხოვრება!“–ამბობდა დეილ კარნეგი. სხვაგვარად ძუძუთი კვებას ვერ მოაწესრიგებთ. ვერც ბევრ სხვა რამეს მოახერხებთ. გაუფრთხილდით საკუთარ თავს. თქვენს ნაცვლად ამას ვერავინ გააკეთებს. იძინეთ, დაისვენეთ, ისეირნეთ. თქვენ დიდი პასუხისმგებლობა გაკისრიათ ბავშვის წინაშე, ამიტომ ბევრი ენერგია გჭირდებათ. შეეცადეთ, ჩვილი ბუნებრივად შემოვიდეს თქვენს ცხოვრებაში. ნუ დაივიწყებთ მის ასაკობრივ თავისებურებებს. იმისთვის, რომ პატარა ორგანულად შეერწყას ახალ სამყაროს, პირველ ხანებში მოარიდეთ ხალხმრავლობას, ხმაურს. გამონახეთ დრო თქვენი შეგრძნებებისა და განცდების, ახალი ემოციებისა და დაკვირვებების ჩასაწერად. თუნდაც დღეში 15 წუთი. ეს არც ისე ბევრია. სამაგიეროდ, შემდგომში განუმეორებელ წუთებს გაგახსენებთ. ათი წლის შემდეგ მეუღლესა და უკვე წამოზრდილ შვილთან ერთად საოცარი განცდით წაიკითხავთ თქვენი ოჯახისთვის უძვირფასეს მოგონებებს. ეს კიდევ უფრო გაამყარებს შვილის მშობლებთან ფსიქოლოგიურ კავშირს. აწარმოეთ ჩანაწერები ბავშვის შესახებ, სადაც აღნუსხავთ ინფორმაციას მისი ჯანმრთელობისა და განვითარების შესახებ, ჩაიწერთ, როგორ უყალიბდებოდა ჩვევები, თვისებები, ხასიათი. მოაწესრიგეთ ურთიერთობა მეუღლის მშობლებთან, განურჩევლად იმისა, ცხოვრობთ თუ არა მათთან ერთად. რა გამაღიზიანებელიც არ უნდა გეჩვენებოდეთ მათი რჩევები, მათ მხოლოდ და მხოლოდ თქვენი დახმარება სურთ. უფროსი თაობის გულისტკენა არ შეიძლება. აი, პრიორიტეტების შესახებ შეთანხმება კი საჭიროა. ერიდეთ გაციებას. ნუ გახვალთ აივანზე შილიფად ჩაცმული–შეიძლება მკერდი გაგიცივდეთ. ნუ იჩქარებთ ძიძის მოწვევას. ბავშვის დაბადების შემდეგ დედას უამრავი საზრუნავი უჩნდება და ძალიან იღლება, ამიტომ ბევრი ძიძის ძებნას იწყებს. ცოტა ხანს მოიცადეთ! ახლა თქვენს შვილს დედა სჭირდება, რომელიც არა მხოლოდ ყველაზე ძვირფასი ადამიანია მისთვის, არამედ მისი ცხოვრებისა და ნორმალური ფსიქოლოგიური განვითარების მთავარი პირობაც. ძიძის აყვანის შემთხვევაში წყდება უმნიშვნელოვანესი ფსიქოლოგიური კავშირი დედასა და შვილს შორის. ჯობს, საოჯახო საქმეები ანდოთ სხვას. საზოგადოდ, ძიძის საწინააღმდეგო ფსიქოლოგებს არაფერი აქვთ, მაგრამ არა პირველ თვეებში. თუ მოახერხებთ, ეცადეთ, პირველი ექვსი თვე მაინც დარჩეთ შინ. ნუ ეცდებით, გახდეთ იდეალური დედა. დედობა ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია, მაგრამ არა მთელი ცხოვრება. ახალმა როლმა არ უნდა შეგიქმნათ ახალი კომპლექსები. პირიქით, უნდა დაგანახვოთ, რომ ცხოვრება უფრო საინტერესო, უფრო უკეთესი გახდა. ზოგი რამ შესაძლოა არ გამოგივიდეთ, ზოგი რამ წააგოთ კიდეც, მაგრამ მალე ყველაფერი შეიცვლება. ეცადეთ, ყოველი დღე დღესასწაულად აქციოთ. ნუ იტყვით უარს დახმარებაზე. გახსოვდეთ: ბავშვს ენერგიული, მშვიდი და ხალისიანი დედა სჭირდება.

# შორტი–ზაფხულის ყველაზე მოხერხებული სამოსი



შორტი ზაფხულის მუდმივი და სრულუფლებიანი წევრია. მისი აქტუალობა აღარავის უკვირს. უპირველეს ყოვლისა, ეს სწორედ ის სამოსია, რომელიც ზაფხულის პაპანაქებაში ყველაზე მოსახერხებელია.

ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ შორტი წლევანდელი ზაფხულის კოლექციების უდავო ფავორიტია. დიზაინერები სხვადასხვა მოდელს გვთავაზობენ: რეტრო-სტილი და ბერმუდები, მინი და მუხლამდე სიგრძის შორტი.

ასორტიმენტი ფართოა და სულაც არ არის აუცილებელი, მოდელის გარეგნობა გქონდეთ. როგორც აღვნიშნეთ, შეგიძლიათ, ნებისმიერი მოდელი შეარჩიოთ, სპეციალისტები მხოლოდ რამდენიმე რეკომენდაციას გთავაზობენ, რომლებიც სასურველია, შორტების შეძენისას გაითვალისწინოთ.

*** ხორცსავსე ქალბატონებისთვის.**

ფუმფულა ფორმების მქონე ქალბატონებმა მუხლამდე სიგრძის შორტებზე უნდა შეაჩერონ არჩევანი. იდეალური ვარიანტია ეგრეთ წოდებული “ბერმუდები”. თავისუფალი თარგი ვიზუალურად აგრძელებს ფეხებს და მათ უფრო მოხდენილს აჩენს. ყურადღება მიაქციეთ ფეხსაცმელსაც, მაგალითად, კოჭთან თასმიანი ფეხსაცმელი ფეხის სისავსეს უსვამს ხაზს, ამიტომ უმჯობესია, ასეთ ფეხსაცმელზე უარი თქვათ.

*** მინიატიურული ქალბატონებისთვის.**

ასეთმა ქალბატონებმა, უფრო მაღლები რომ გამოჩნდნენ, მაქსიმალურად მოკლე შორტები უნდა შეარჩიონ, ვერტიკალური ვიწრო ხაზებით ან რეტროსტილის - მაღალწელიანი.

*** გამხდრებისთვის.**

შორტებში ფეხები დისტროფიულად რომ არ გამოიყურებოდეს, შეარჩიეთ მანჟეტიანი ან დიდი ნახატებით მოჩითული მოდელები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ თარგს: შორტი არც ფეხებზე უნდა იყოს მოტმასნილი და არც ზედმეტად თავისუფალი.

*** მაღლებისთვის.**

თუ საკუთარი სიმაღლის გამო უხერხულობას განიცდით, ოდნავ მუხლს ზემოთ სიგრძის შორტები შეარჩიეთ. მოკლე შორტებისგან კი თავი შორს უნდა დაიჭიროთ, ასეთი მოდელები ხაზგასმით წარმოაჩენენ გრძელ ფეხებს და ვიზუალურად კიდევ უფრო აგრძელებენ მათ. გაითვალისწინეთ, რომ თქვენთვის არ არის სასურველი ჩალისფერი, პლატფორმიანი ან მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები. ასეთი მოდელები სიმაღლეს მოგიმატებთ.

# მედიცინა

## წყალი სილამაზის საწინდარია



ცნობილია, რომ ადამიანის ორგანიზმის 70% წყლისგან შედგება. ყველა ჩვენი შინაგანი ორგანო და სისტემა ფუნქციონირებს უჯრედებში განთავსებული სითხის წყალობით.

მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ სუფთა სასმელი წყალი ყველაზე ხელმისაწვდომი, საუკეთესო კოსმეტიკური საშუალებაა, რომლის წყალობითაც შეგვიძლია კანს შევუნარჩუნოთ სიგლუვე და ახალგაზრდული იერი. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ზაფხულში, როდესაც ორგანიზმს უწევს გაუმკლავდეს ქუჩის მტვერს, სიცხეს, შენობებში კონდიციონერით გამომშრალ ჰაერს. სამწუხაროდ, ბევრმა ჩვენგანმა არ იცის როდის დალიოს წყალი. ხშირად, როდესაც ორგანიზმი წყალს გვთხოვს, წყურვილს ვაიგივებთ შიმშილთან და ვთავაზობთ საკვებს, ვაყოლებთ ყავას. შედეგი_წონაში მომატებაა, გაუწყლოება, მოთენთილობისა დადაღლილობის შეგრძნება. გირჩევთ, წყურვილის შეგრძნებისას დალიოთ წყალი. სპეციალისტების აზრით, ადამიანმა დღეში უნდა დალიოს წონის ყოველ 30კგ-ზე 1ლ წყალი, გახსოვდეთ, გაზიანი სასმელები, წვენები, ჩაი, ყავა, რძე მას ვერ ცვლის. სვით ცოტ-ცოტა, ატარეთ ბოთლით სასმელი წყალი. თუ ჭამამდე 0,5 საათით ადრე დალევთ წყალს, უფრო სწრაფადდანაყრდებით.

ზაფხულში კანისთვის უნდა შეარჩიოთ უფრო მსუბუქი და დამატენიანებელი კრემები. კანის სილამაზეს შეგინარჩუნებთ ხილის ნიღბები, გაყინული ხილისწვენის კუბები.

არ გამოიყენოთ ცხელი აბაზანა, საპონი და სპირტიანი ტონიკები, რადგან ისინი უფრო აშრობენ და აუხეშებენ კანს და ასუსტებენ ზაფხულის სიცხისა და მტვრისადმი მის მდგრადობას. ხშირად შეისხით სახეზე წყალი...

## წონაში დაკლება გსურთ?



ზაფხული საუკეთესო დროა უდიეტოდ წონაში დასაკლებად. ამისთვის საჭიროა, რაციონში გაითვალისწინოთ ისეთი პროდუქტები, რომლებიც თრგუნავენ შიმშილის გრძნობას, ხელს უწყობენ ცხიმის წვას. დღის განმავლობაში საუზმის შემდეგ 5 საათის განმავლობაში შეგიძლიათ ჭამოთ ტკბილეული და ცომეული, დღისით და საღამოს კი–ცილები და ბოსტნეული. საღამოს ხილი გეკრძალებათ. როგორც კი იგრძნობთ შიმშილს, დალიეთ წყალი ან მწვანე ჩაი, შეჭამეთ 2-3 ღერი ოხრახუში ან კიტრი, რომელიც სწრაფად წვავს ორგანიზმში ცხიმს.

–მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ მუსიკის თანხლებით ან ტელევიზორის ყურებისას უფრო მეტს მიირთმევენ, ამიტომ გირჩევთ, ჭამის დროს გამორთოთ მუსიკა.

–კალიუმით მდიდარი კარტოფილი კანიანად შებრაწეთ ღუმელში და ჭამეთ მარილისა და სანელებლების გარეშე.

–რაციონში გაითვალისწინეთ: უშაქრო ჟელატინი, რომელიც ცხიმს არ შეიცავს. მაგალითად, 100 გ ჟელატინი სულ 10 კალორიაა.

–წითელი ღვინო, რომელიც შეიცავს აქტიურ ნივთიერებას, რესვერატოლს, არა მარტო ხელს უშლის ცხიმის დაგროვებას, არამედ იცავს ორგანიზმს ონკოლოგიური დაავადებებისაგან.

-ცხარე წიწაკა აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას ორგანიზმში, აუმჯობესებს სისხლით მომარაგებას, აღნობს ცხიმს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კაპსაცინი-კომპონენტი, რომელიც წიწაკას სიმწარეს სძენს, ხელს უშლის არა მარტო ცხიმოვან, არამედ კიბოს უჯრედების ზრდას. ასე რომ, არ დაგავიწყდეთ, ჭამის დროს საჭმელს დაამატეთ წიწაკა.

-დიეტოლოგები გვირჩევენ, მიიღოთ 600 გ ვიტამინებით, პექტინებითა და მთრიმლავი ნივთიერებებით მდიდარი კენკრა, რომელიც აჩქარებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას, რითაც ხელს უწყობს წონაში დაკლებას.

-დღის პირველ ნახევარში ჭამეთ ერთი მუჭა ნუში-შიმშილის გრძნობას ახშობს და ღვიძლს ერთი... ლელვი- ის სწრაფად დაგანაყრებთ, ამავე დროს ხელს უწყობს ცხიმის წვას.

## ზღვა არც ისე უსაფრთხოა!..



შვებულებაში გასვლის წინ მოიმარაგეთ სალბუნი, ბინტი, თავის ტკივილის, გაცივების, ალერგიის, დიარეისა და მზის დამწვრობის საწინააღმდეგო წამლები...

მცხუნვარე მზეზე დიდხანს ყოფნამ შეიძლება გამოიწვიოს მზის დაკვრა, გულის რევის შეგრძნება, პირღებინება, შეციება, სისუსტე, გულის ცემის აჩქარება, ცხვირიდან სისხლის დენა, თავის ტკივილი, რაც იმის ნიშანია, რომ დაისიცხეთ. სასწრაფოდ შეეფარეთ საჩრდილობელს, სახეზე შეისხით ცივი წყალი, რაც გააუმჯობესებს სისხლის მიმოქცევასა და გუნება-განწყობილებას... დალიეთ ცივი წყალი, თავზე დაიდეთ სველი კომპრესი. თუ არ გამოკეთდით, გამოიძახეთ ექიმი. მზეზე დიდხანს ნუ გაჩერდებით, თავზე დაიხურეთ ქუდი. ცნობისთვის: პლაჟის სილაში ბინადრობენ სილის რწყილები, რომლებიც იოლად აღწევენ კანქვეშ და მტკივნეულ ჩირქოვან მუწუკებს აჩენენ. მათი მოშორება მხოლოდ ქირურგიული გზით შეიძლება. ამიტომ სილაზე ნუ დაწვებით, ქვეშ დაიფინეთ პლედი ან დაწექით შეზლონგზე.

ზაფხულში ხშირია კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რისი მიზეზიც უმეტესად წყალი, ჭუჭყიანი ხელები და პროდუქტია.

ისეთი ნიშნები, როგორიცაა გულისრევა, პირღებინება, დიარეა, მუცლის ტკივილი–არის სიგნალი ნაწლავის ინფექციისა. გირჩევთ, ხშირად დაიბანოთ ხელები საპნით, დაიცავით ჰიგიენის ელემენტარული წესები. ხილი და ბოსტნეული გარეცხეთ ჯერ ცხელი წყლით, შემდეგ–ცივით, სვით მხოლოდ ბოთლში ჩამოსხმული წყალი, წაიხემსეთ შინიდან წაღებული საუზმით, თავი შეიკავეთ პლაჟზე საკვების ყიდვისგან.

წყალში ყოფნისას თუ შეეხეთ მედუზას და იგრძენით მწვავე წვა და ტკივილი, სასწრაფოდ დაიბანეთ შეხების ადგილი ძმრით ან ლიმონის წვენით. თუ ტკივილმა არ გაგიაროთ, მიმართეთ ექიმს.

## თუ უძილობა გაწუხებთ

თუ უძილობისგან განკურნების ყველა მეთოდი ამოწურეთ (ღია ფანჯარა, სიგრილე, საღამოს თბილი აბაზანა, თაფლიანი რძე და სხვ), მოსინჯეთ ხალხური საშუალებები:

...25 გ სვიას დაასხით 1/2 ჩ/ჭ სპირტი, 7 დღე გააჩერეთ ბნელ ადგილას. გადაწურეთ და მიიღეთ თითო ჩ/კ ნაყენი დღეში 2-3-ჯერ (განსაკუთრებით საღამოს).

...სვიის 1ს/კ გირჩას დაასხით 200 მლ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 10 წუთი და მიიღეთ თითო ს/კ დღისით 2-ჯერ და 2 ს/კ ღამით.

...ძილის წინ, საწოლში, 50-ჯერ ფეხის წვერების მოძრაობა თქვენკენ და თქვენგან, მარჯვნივ და მარცხნივ).

...ერთი ხელისგული დაიდეთ კეფაზე, მეორე კი ცხვირის ფუძეზე ისე, რომ არ შეეხოთ ცხვირსა და თვალებს - სითბოს შეიგრძნობთ ან ხელისგულებით გაიობეთ სახე - სწრაფად დაგეძინებათ.

ინტერნეტიდან

## ჰიტლერი ძაღლებს ლაპარაკს ასწავლიდა

ჰიტლერის ბრძანებით, ძაღლებს ლაპარაკს ასწავლიდნენ. ამას პროფესორ იან ბონდენსონის ბერლინის არქივში აღმოაჩენილი დოკუმენტები ადასტურებს.



მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ჰიტლერის განკარგულებით სპეციალური სკოლა შეიქმნა. აქ ძაღლებს ადამიანის ენას ასწავლიდნენ. სკოლა Tier-Sprechschule ASRA ლოიტენბურგში, ჰანოვერთან მდებარეობდა. აქ საუკეთესო ძაღლები მოჰყავდათ მთელი გერმანიიდან.

თუკი დოკუმენტებს დავუჯერებთ, გერმანელების ძალისხმევას ამაოდ არ ჩაუვლია. ერთ ძაღლს მოუხერხებია „ჩემო ფიურეროს“ დაყეფება. ყველაზე შორს წასულა ტერიერი როლფი. ის რელიგიაზეც კი „საუბრობდა“. „ლაპარაკი“ მერხზე თათებით კაკუნს წარმოადგენდა. ამასთან, თითოეული ასო–დაკაკუნების განსაზღვრულ რაოდენობას შეესაბამებოდა.

ჰიტლერი გენერალიტეტს ურჩევდა, ბრძოლაში და დაზვერვაში ძაღლების გამოყენების მეთოდებზე ემუშავათ.

**მომზადებულია EG.RU-ს მიხედვით.**

## მილიარდელმა შეიხმა საკუთარი სახელი ქვიშიან სანაპიროზე უკვდავყო




არაბმა მილიარდელმა შეიხმა, ჰამად ბენ ჰამდან ალ-ნაჰიანმა საკუთარი სახელი ქვიშაზე უკვდავყო. მან წარწერა HAMAD კუთვნილ ალ-ფუტაისის კუნძულზე რამდენიმე კილომეტრზე გადაჭიმული ასოებით ამოკვეთა, წარწერა 4 კმ-ს მოიცავს.

ასოების ამოსაკვეთად შეიხმა არხები გაიყვანა. წარწერა იმდენად ფართო იყო, რომ კუნძულზე ყველა ასო ვერ დაეტია. ასოები რომ წყალს არ წაეშალა, დამცავი ჯებირებით შემოსაზღვრეს.

შეიხი 63 წლისაა და ის აბუ-დაბის ემირატის მმართველი ოჯახის წევრია. სიმდიდრით ის მსოფლიოში მხოლოდ საუდის არაბეთის მეფეს ჩამორჩება, მისი ქონება 22,6 მლრდ დოლარს შეადგენს. შეიხის ავტომობილების ცნობილი კოლექცია 200-მდე ძვირადღირებულ მსუბუქ ავტომობილს ითვლის.

ალ-ფუტაისის კუნძული კურორტებით, გოლფის მოედნებით და ცხენის თავლებით არის ცნობილი.

## შვეიცარიელმა გლეხმა სიმინდის ყანაში სასტუმრო გახსნა

შვეიცარიაში გლეხმა სიმინდის ყანაში, ღია ცის ქვეშ, სასტუმრო გახსნა. ის განკუთვნილია ადამიანებისთვის, ვინც სოფლის ნოსტალგიის გრძნობას განიცდის.



შვეიცარიელი გლეხი ჰერბერტ შლეუპი ნენიგკოფენიდანაა. ის ყოველ წელს თავის სიმინდის ყანაში ღია ცის ქვეშ სასტუმროს ხსნის. ცოლ-ქმარი სასტუმროს „ნომერს“ ორიგინალურად აწყობს.

ნომერში რკინის საწოლებია, მათზე სიმინდის ფუჩეჩია დაფენილი. იატაკად ასევე ფუჩეჩია გამოყენებული. სასტუმროს კედლებს გაზრდილი სიმინდის ღეროები წარმოადგენს. ნომერს წვიმისგან ტენტი იცავს.

ყოველწლიურად სასტუმროს 900 ადამიანი სტუმრობს.

## ჩინეთში მამლებს სათვალე გაუკეთეს



ჩინეთში მამლებისთვის სათვალე შექმნეს. ფრინველთა ერთ-ერთ ფერმაში მამლები ერთმანეთს დაერივნენ და თვალები ამოკორტნეს. ფერმის მეპატრონეები დიდხანს იმტვრევდნენ თავს, როგორ დაეცვათ ფრინველები.

მათ პლასტმასის სათვალეები დაამზადეს და ჩხუბისთავებს ნისკარტებზე დაუმაგრეს. ცდამ გაამართლა –ფრინველები ახლა ერთმანეთს ცუდად ხედავენ, საქათმეში სიჩუმეა, ფერმერები კი კმაყოფილები არიან.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება შესანიშნავი მომღერლის, რესპუბლიკური თუ საერთაშორისო ფესტივალებისა და კონკურსების მრავალგზის ლაურეატის

**მურთაზ ალანიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გამგეობის მთავარ სპეციალისტს გიგა დანელიას ბებიას

**ლიმო აკაკის ასული დანელიას**

გარდაცვალების გამო.



გარდაიცვალა **ჭიჭიკო ლომაია**–დიდი ოჯახის მამა და ბაბუა, ჭარმაგი, მრავალგზის ჭირნაცადი, მშრომელი და ერთგული პიროვნება, ჩვენი მეგობრის ნატო ლომაიას მამა, მისი შვილების მოამაგე ბაბუა. ვუსამძიმრებთ მის შვილებსა და შვილიშვილებს. უფალს ვთხოვთ ნათელში ამყოფოს მისი სული.

***რედაქციელები***

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება შესანიშნავი პიროვნების

**ელგუჯა ჭაჭიას**

გარდაცვბალებას და თანა-

ხობის მუნიციპალიტეტიის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობენ ქალბატონ ნატო ლომაიას მამის

**ჭიჭიკო ლომაიას**

გარდაცვალების გამო.

ვერიკო და დათო ჯოლოგუები თანაუგრძნობენ მათ პირველ მასწავლებელს ქალბატონ ლალი სურმავას მეუღლის

**ელგუჯა ჭაჭიას**

გარდაცვალების გამო.

სულთათანა

## კოლხი რაინდი

### მურთაზ ალანიას ხსოვნას

არათუ უფროსი, ჩემი თაობისთვისაც, მით უფრო მათთვის, ვინც დღეს სწორად ვერ ბუდობს მშობლიურ რაიონში, ბერდება იგი! სევდიანდება და რჩება იმ ადამიანების გარეშე, რომელთაც მხრებითა და ნამეტი ძალგულოვნებით ატარეს ხიბლი მრავალთათვის უცნობი წარსულისა და რიგძალაობით გამშვენიერებული აწმყოსი.

უნდობარმა ჟამმა შემოდგომისრად მოასევდიანა თვალსაწიერი, წუთისოფლისგან უკეთესი ადამიანების მოწყვეტით.

სიზმრისეული უსაზღვროობიდან თუ მოედინება ესოდენ მოუსავადებელი სევდა, ტკივილი და დაუშრობი ცრემლი მგლოვიარეთა, თორემ ცხადში აბა როგორ ამოზავთდებოდა წუხილი ესე...

ვწერ და მიძნელდება შერიგება აზრთან, რომ ხობის ნისლსევდიან ქუჩებსა და ალაგებს გამოაკლდა კიდევ ერთი სანთელივით ადამიანი, ვისი დანიშნულებაც –სხვათა გახარება, სულიერად ამაღლება და ხელოვნების გზით პირნათელი სიარული გახლდათ.

სულმნათი მურთაზ ალანია გონკეთილი გამგრძელებელი–ალანიების იმ სახელოვანი, წარმოჩენილი თაობისა, ლადი და იროდი ალანიები რომ მეწინაობდნენ, ოსტატნი, რომელნიც სწორუპოვრად ემსახურნენ კულტურის ამაღლებულ სფეროს, კერძოდ ქართულ პოლიფონიურ ხელოვნებას და უზღვავესი წვლილი შეიტანეს მისი განვითარებისა და პოპულარიზაციის მამულიშვილურ საქმეში.

დაუვიწყარია ლადი ალანიას ჩამზეჰანგებული–„ნანა“, „ჩელა“, „მა დო ჩქიმი არაბა“ და კიდევ მრავალი. იროდი ალანიას ჩონგურზე ასევდიანებული სიმღერები ხომ ლეგენდად შემორჩენია ჩვენს კუთხესა და ქვეყანას. ძუკუ ლოლუას, ნოკო ხურციას, რემა შელეგიასა და მრავალ დიდ ადამიანთა მეკვალდიდები გახლდნენ ეს საოცარი მეგრელები!..

სწორედ მათდარი მზეკაბანა სულის ხელოვანი ბრძანდებოდა მურთაზ ალანია, თითქმის ყველა



კლასიკურ თუ ფოლკლორულ საკრავებზე მაღალოსტატურად დამკვრელი, მაღალპროფესიული გემოვნების, ხავერდოვანი ბუხუნა ბანისა და შეუბღალავი ღირსების პატრონი.

შავგრემანი, ყირმიზი სახით, გრუზა თმებით, ტანმოსული, ფეჩერია, ძარღვიანი ხელებითა და მზესხივიანი ღიმილით უფრო ლიტერატურულ გმირს მოგაგონებდათ, ვიდრე რეალურ პიროვნებას...

მრავალ ახალგაზრდას აზიარებდა ფოლკლორულ თუ საესტრადო მიღწევათა საიდუმლოებებს. მისთვის ჩვეული სიდინჯითა და კლასიკური თანმიმდევრობით შრეებად მიუსავადებდა–მშვენიერებას ხმოვანი კულტურისა და უსასრულობის განცდით აღჭურვილთ, უმთავრესში–ხელოვნების მარადიულ მშვენიერებათა ჭეშმარიტებასა და მის ფუნდამეტად მყოფ–უფლისმიერებასა და მამულიშვილობაში არწმუნებდა.

მურთაზ ალანია მთელი თავისი „საწყის–სასრულით“ რაინდი გახლდათ, აღსავსე ქრისტიანული მშვენიერებითა და ღირსყოფით. მაღალი, როგორც იმედი და უსასრულო, ვითარცა სიყვარული...

მას ყველა უყვარდა და თავადაც უსაზღვრო სიყვარულს იმკიდა...

მთელი არსებით ვუსამძიმრებ მთელ კუთხეს, მითუფრო ჩემს ხობელთ მურთაზ ალანიას გარდაცვალებას.

ჩვენ რაინდი დავკარგეთ, ძვირფასებო, ვისი დარი ვაჟკაცებიც მოვლენები არიან, ამ ულუღგი სამყაროსთვის სიყვარულისთვის ბოძებულნი.

ნათელი დაგადგეს–დიდო კაცო, უღალატო მეგობარო და ნაღდო შემომქმედო!..

*მწუხარებითა და პატივისცემით*

***ლაშა გვასალია***

***მწერალი.***

## ნოდარ ლომაია



მეტად ძნელია ჩემთვის 2010 წლის 5 აგვისტოს გახსენება. იმ საშინელი დილისა, როცა სამუდამოდ დაგვტოვე, სევდით დარდითა და ცრემლით გრძელდება ცხოვრება ჩემთვის მანამ სანამ საბოლოოდ დაიხურება ჩემი ცხოვრების ფარდა.

ძნელია ცხოვრება უშენოდ, შენ ხომ ჩვენი ოჯახის საყრდენი, ცხოვრების ურყევი კედელი იყავი; შენი უდროოდ წასვლით სამუდამოდ დაცარიელდა ის დიდი, შეუცვლელი ადგილი, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში გეკავა.

ღირსეული კაცის სახელით იცხოვრე ამ ქვეყნად და ასევე ღირესეული კაცის სახელით წახვედი აქედან. შენგან არავის არ ახსოვს უმნიშვნელო წყენაც კი, სიკეთე კი მრავალს, ძალიან ბევრს, რომელიც წინ დახვდება შენს სათაყვანებელ შვილებსა და შვილიშვილებს.

შენი ცხოვრების განვლილი დღეები ერთად აღებული დიდი წიგნია, რომელიც ჩვენი მუდმივი მეგობარი იქნება, იგი არასოდეს არ გაუფერულდება.

გწამდეს, ნოდარ! შენი ძვირფასი სახე და ხსოვნა არასოდეს არ მოიშლება შენს ოჯახში. სადაც ყოველთვის ჩვენი მოსაფერებელი ხატი იყავი და იქნები მარად.

უფალს შევთხოვ, სიმშვიდე და სანთელი არ მოკლებოდეს შენს სპეტაკ სულს განისვენე იქ, სადაც მართალნი და სპეტაკნი განისვენებენ.

***მარად შენი ერთგული მეუღლე ლეილა ბუცხრიკიძე.***

## გელა ლომაია

ძველებს უთქვამთ, დრო ყველაფრის მკურნალიაო. ისიც უთქვამთ, ვისაც შვილი არ მოკვდომია, სხვისი შვილის სამძიმარზე ნუ მივაო. შვილმკვდარი დედის სევდა უსაზღვროა. სამწუხაროდ, წუთისოფლის ორომტრიალში მათი რიცხვი არ მცირდება, ვის სად მოეწევა უბედურება არავინ იცის... „კარგი რამ გჭირდეს გიკვირდეს, ცუდი რა საკვირველიაო“– თითქოს დასამშვიდებლად ამბობს პოეტი. მართლაც, ხობში ყველასთვის ცნობილ ნათელა და ნაპო ლომაიების ოჯახსაც ასე მოუვიდა. მას შემდეგ 15 წელიწადი გავიდა, მაგრამ დადგება თუ არა 30 ივლისი, მათი ოჯახის ყველა ახლობელს ხობის სასაფლაოსაკენ მიუწევს გული... იქ მათ ავტოკატასტროფაში მოყოლილი გელა ლომაიას ბავშვურღიმილიანი სახება ელოდებათ... წელსაც ასე იყო, ეკლესიაში გელა ლომაიას სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადეს. საფლავზე გასულმა ახლობლებმა ერთხელ კიდევ მიაგეს პატივი მის ხსოვნას. იყო ტკივილიანი მოგონება, სითბო, სიყვარული, ამჯერად შვილის გვერდით გელას გარდაცვალებიდან სიცოცხლეგამწარებული მამა ნაპო ლომაიაც განისვენებს. ეს საღამო მიანიშნებდა იმაზეც,



ნაპო და გელა ლომაიები

რომ ქართველებს სხვათაგან გამორჩეულად, ახლობლის ტკივილის გათავისება შეგვიძლია. რომ არა თანაგრძნობა, ალბათ, სვეგამწარებული დედა–ყველას ხელის გამმართავი, პირდაპირი, დამსახურებული ფინანსისტი და უკვე კარგი ბებიაც, ამდენ თანმდევ ტკივილს ვერ გაუძლებდა.

გზად მომავალს, თვალთახედვიდან მისი გაცრეცილი, მაგრამ გაუტეხელი სახე დიდხანს არ მომცილებია. ვერ შევბედე მეთქვა, დიდხანს უნდა იცოცხლოთ ქალბატონო ნათელა, თქვენი ერთადერთი შვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად მეთქი, ვფიქრობდი კი...

ნათელი დაადგეს გელა და ნაპო ლომაიების ხსოვნას, სულის უკვდავყოფა ხომ მათ სიცოცხლეში დაიმსახურეს...

***მერი ლაგვილავა***

## ნარდი



# გოგი ბუკიას მეხუთე მემორიალური ღია ტურნირი აჭარის „ოაზისში“

2007 წელს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ხობის“ ინიციატივით დაფუძნდა უდროოდ გარდაცვლილი ქართველი ჟურნალისტის, შე-



გოგი ბუკიას მემორიალური დაფა

სანიშნავი მოქალაქისა და ნარდის დიდი მოყვარულის გოგი ბუკიას მემორიალური ღია საერთაშორისო ტურნირი ნარდში. ტურნირი ტარდება ნარდის საერთაშორისო წესების გათვალისწინებით.

პირველი ტურნირის ორგანიზატორები იყვნენ საქველმოქმედო ფონდი „ხობი“ და საქართველოს ნარდის ასოციაცია.

2008 წლიდან გოგი ბუკიას მემორიალური ტურნირი შეტანილია საერთაშორისო გათამაშებათა ცხრილში, მას ხელმძღვანელობს ნარდის მსოფლიო ასოციაცია, მისი პრეზიდენტის ბატონი ჩივა ტაფაზოლის (გერმანია) ხელმძღვანელობით.

2008 წელს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ჩატარდა მეორე ტურნირი, რომელზეც თავი მოიყარეს მსოფლიოს 13 ქვეყნის 80-მდე მონაწილემ აშშ–დან, იტალიიდან, ავსტრიიდან, გერმანიიდან, ირანიდან, შვედეთიდან, ისრაელიდან, თურქეთიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან, რომელთა შორის იყვნენ ნარდის სამყაროში მეტად ავტორიტეტული და მაღალრეიტინგული წარმომადგენლები.

ტურნირის მასპინძლები ცდილობდნენ, კარგ ორგანიზაციასთან ერთად, სტუმრებს მაქსიმალური ინფორმაცია მიაწოდონ ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის შესახებ. ტურნირის მონაწილეები ათვალიერებენ საქართველოს ღირსშესანიშნაობებს.

2008 წელს, ტურნირის დამთავრებისთანავე, ნარდის მოყვარულთა ერთ-ერთ პოპულარულ ინტერნეტსაიტზე გამოქვეყნდა თბილისის ტურნირისადმი მიძღვნილი სტატია ტურნირის ორგანიზატორების, მასპინძელი სასტუმროს, მედიის დაინტერესების, ქართველ მონარდეთა პროფესიონალიზმის და ზოგადად საქართველოში ნარდის კულტურის თაობაზე, განსაკუთრებული ხაზგასმით აღინიშნა ქართველი ხალხის, მისი კულტურის, ადათ-წესებისა და სტუმართმოყვარეობის შესახებ. „ეს იყო ფანტასტიკური კვირა, დაუვიწყარი და იმედისმომცემი, რომ ის ყოველ წელს გაიმართება“– ნათქვამი იყო სტატიის ბოლოს.

მართლაც, გოგი ბუკიას მემორიალმა ამ წლების განმავლობაში ბევრი მეგობარი შესძინა ჩვენს ქვეყანას.

წლეულს გოგი ბუკიას მეხუთე საიუბილეო მემორიალს აჭარა–კერძოდ კი ჩაქვის სასტუმრო „ოაზისი“ მასპინძლობს. უკვე ცნობილია, რომ მემორიალში მონაწილეობენ ესპანეთის, პორტუგალიის, გერმანიის, საბერძნეთის, თურქეთის, ირანის, სომხეთის და, რა თქმა უნდა, საქართველოს წარმომადგენლ;ები. შესაძლოა, ამ ჩამონათვალს კიდევ რამდენიმე ქვეყანა დაემატოს.

(გოგი ბუკია წლების განმავლობაში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარი კორესპონდენტი იყო სამეგრელოს მხარეში. ამიტომაც მისი მემორიალი, როგორც ჟურნალისტის სახელის უკვდავება, ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა).

***სოსო ქობულაძე,***
***გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.***

## ანონსი

ყოველი კვირის სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს საღამოს 21 საათზე

ხობის კულტურის სახლის წინამდებარე მოედანზე

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხობის რაიონული ორგანიზაციის ეგიდით

გაიმართება „ახალგაზრდული საღამო" (დისკოტეკა, პოეზიის წუთები, ახალგაზრდა შემოქმედთა დებიუტი, მხატვრულ ნამუშევართა გამოფენა)

წინადადებებისა და განცხადებებისათვის მიმართეთ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხობის რაიონული ორგანიზაციის ოფისს.

მისამართი: ცოტნე დადიანის ქუჩა №234 ტელ: 8414 22-23-96.



## 2011 წლის თასის გათამაშება მინი ფეხბურთში



15 აგვისტოდან ხობის მუნიციპალიტეტში სტარტს აიღებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხობის რაიონული ორგანიზაციის 2011 წლის თასის გათამაშება მინი ფეხბურთში. გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებისა და ქალაქ ხობის გუნდები. რომლებიც გადანაწილდნენ შემდეგ ქვეჯგუფებში:

**A ჯგუფი**
1. ძველი ხიბულა
2. ახალი ხიბულა
3. საჯიჯაო
4. ბია

**B ჯგუფი**
1 თორსა
2. ხამისქური
3. ხეთა
4. პირველი მაისი

**C ჯგუფი**
1. შავღელე
2. პატარა ფოთი
3. ჭალადიდი
4. საგვიჩიო

**D ჯგუფი**
1. ყულევი
2. შუა ხორგა
3. ქარიატა
4. პირველი ხორგა

**E ჯგუფი**
1. ქვემო ქვალონი
2. შუა ქვალონი
3. ახლსოფელი
4. ზემო ქვალონი

**F ჯგუფი**
1. ხობი_1
2. ხობი_2\3. ნოჯიხევი
4. გურიფული

საფეხბურთო ტურნირის დასრულების შემდეგ დაიწყება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხობის რაიონული ორგანიზაციის 2011 წლის თასის გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთსა და ჭადრაკში.

# ტურნირი დამთავრდა, ტურნირი გრძელდება...

20–22 ივლისს, ხობის მუნიციპალიტეტში სტარტი აიღო გოგი ბუკიას ხსოვნისადმი მიძღვნილმა ტურნირმა ნარდში. შეჯიბრებაში მუნიციპალიტეტის მასშტაბით 64 მონარდემ მიიღო მონაწილეობა.



ტურნირის გამარჯვებულები

ტურნირის დაწყებამდე მონაწილეებს სიტყვით მიმართა და წარმატებები უსურვა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა იგორ ტყებუჩავამ.

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ ჩემპიონები და პრიზიორები გამოვლინდნენ:

მესამე ადგილი სოფელ საჯიჯაოს მკვიდრმა კუკური ქაჯაიამ დაიკავა, რომელსაც საჩუქრად „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი გადაეცა.

მეორე ადგილის მფლობელი სოფელ ხეთაში მცხოვრები ნუკრი ბუკია გახდა, რომელსაც პრიზის სახით საჩუქრად „სამსუნგის“ ფირმის მობილური ტელეფონი გადაეცა.

გოგი ბუკიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის ღირსეული გამარჯვებული კვლავ ხობელი ნოდარ ხურცია გახდა. მან უკვე ზედიზედ ორჯერ შესძლო ამ ტურნირში ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. ჩემპიონი „სალუტის“ ფირმის ველოსიპედით დაჯილდოვდა.

პრიზიორები და ჩემპიონი ფასიანი საჩუქრებით მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ქალბატონმა რალა ჩემიამ და მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელმა ბატონმა რევაზ წულაიამ დააჯილდოვეს.

აღსანიშნავია, რომ წლეულს, გოგი ბუკიას მეხუთე საიუბილეო მემორიალს აჭარა, კერძოდ კი ჩაქვის სასტუმრო „ოაზისი“ უმასპინძლებს. უკვე ცნობილია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად ხობის ჩემპიონატზე გამარჯვებული ნოდარ ხურციაც მიიღებს მონაწილეობას.

ტურნირის დამთავრების შემდეგ მონაწილეებმა, გულშემატკივრებმა და ტურნირის ორგანიზატორებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ხობის კოლორიტის გოგი ბუკიას ხსოვნას.

***ნანა კემულარია.***

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია: თავმჯდომარე შპს „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა.
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია, რეკლამისა და მარკეტინგის მენეჯერი ლაშა ცატავა.
კომპიუტერული უზრუნველყოფა ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 8 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.